ავჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№6 (25.134) 16 თებერვალი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მთაში - თოვა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 11-16, მთიან რაიონებში - 6-11 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი. ხვალ მოსალოდნელია თოვლქარი, მთაში - თოვა, მომდევნო 3 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

ბათუმი – ავარიული სახლების გარეშე

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანთან ერთად, „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ პროგრამის ფარგლებში, კვინიტაძისა და გრიშაშვილის ქუჩებზე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნო. აღნიშნულ მისამართებზე საცხოვრებელი ფართები 120 ოჯახზეა გათვალისწინებული

ამ ეტაპზე მშენებლობა დასრულდა 12 მისამართზე, გამაგრება-რეაბილიტაცია 9 მისამართზე მიმდინარეობს.

პროგრამის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ განხორციელების შედეგად 3000-ზე მეტი ოჯახისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო შეიქმნება. მოსახლეობას ბინები სრულად გარემონტებული გადაეცემა. ამ პროგრამის განხორციელებისთვის 100 მილიონი ლარი დაიხარჯება.

ტურისტული სეზონისათვის ქალაქს ახალი დასასვენებელი სივრცე შეემატება

ბათუმში „გმირთა ხეივნის“ სრული რეაბილიტაცია და საფეხმავლო სახიდე გადასასვლელის მშენებლობა დასკვნით ფაზაშია

ერთ კილომეტრზე მეტი სიგრძის „გმირთა ხეივნის“ სრული რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, გამოიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები, სავალ ნაწილზე მოეწყო ბეჭდური ბეტონი, გაკეთდა სარწყავი სისტემა. ასევე, დასრულდა ხეივნის კეთილმოწყობის სამუშაოები, რისთვისაც მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, დამონტაჟდა სანათები, საყვავილეები, სკამები, ინსტალაციები, შადრევნები, ველოსადგომები, განთავსდა ურნები. ამჟამად მიმდინარეობს ხიდების მოპირკეთების სამუშაოები. ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედით მოსარგებლეთათვის გათვალისწინებულია სახიდე გადასასვლელი პანდუსთან ერთად, რომელიც სამნაწილიანი ბულვარის მონაკვეთებს ერთმანეთს დააკავშირებს. პროექტს, რომელიც მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, ორ ეტაპიანია, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებს. მისი ღირებულება 23.8 მილიონი ლარია.

საკაშვილის წინასაარჩევნო ბრძოლა და პოლიტიკური გეგმები კლინიკა «ვივამედიდან» 2

რატომ აირჩია მაყვალა ირემაძემ მებრძოლის გზა? 6

როგორ უმკლავდებიან სირთულეებს წყალსაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში? 4

ქალი - იისფერი სამყაროდან 7

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საკაშვილის წინასაარჩევნო ბრძოლა და პოლიტიკური გეგმები კლინიკა „ვივამედიდან“

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ 595 85 80 06

ჩვენს ქვეყანაში საარჩევნო კამპანია დაწყებულია, რაც სრულიად ბუნებრივია, საინტერესო ის არის, რომ ამ კამპანიას ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც უერთდება

ალბათ უცნაურია, მაგრამ ფაქტია, პატიმრობაში მყოფმა სააკაშვილმა, რომელიც საქართველოს მოქალაქეც კი აღარ არის, 9 თებერვლის სასამართლო პროცესზე კლინიკა „ვივამედიდან“ ონლაინჩართვისას განაცხადა, რომ საარჩევნო კამპანიაში „ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვების პლატფორმის“ სახელით ერთვება. მან უკვე ოფიციალურად აღნიშნა მისი როლი საარჩევნო კამპანიაში, აპირებს, გამოვიდეს წინა პლანზე და ყოველდღიურად ჩაერთოს საარჩევნო მარათონში. მან ღიად თქვა, რომ აპირებს იყოს „ნაციონალური მოძრაობის“ ბორდის თავმჯდომარე და ბორდში ლიდერებთან ერთად საზოგადოების აქტიურ წევრებსაც ეპატიჟება.

„ამ ბორდში შემოვლენ პარტიის ლიდერები, მაგრამ, ასევე, ბევრი საზოგადოებრივად აქტიური მოღვაწე. მე მზად ვარ, რომ ამ არჩევნებში ვიყო ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის აბსოლუტურად წინა ხაზზე, იმიტომ, რომ აქ წყდება საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, აქ წყდება, საერთოდ გვექნება მომავალი, თუ ეს მომავალი უიმედოდ დაიკარგა“, - განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ გეგმებს უპასუხეს მმართველი გუნდიდანაც. „ქართული ოცნების“ წევრების შეფასებით, ყოფილი პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიას აზრი არ აქვს, რადგან საზოგადოებამ იგი უკვე კარგად გაიცნო.

„სააკაშვილი ბორდის წევრი იქნება, ბორდის თავმჯდომარე თუ მათი გაუგებარი პლატფორმის მონაწილე, ეს არაფერს ნიშნავს, მას ერთი სული აქვს, გამოვიდეს და კისრები წააწყვიტოს იმ ადამიანებს, ვინც ახლა არიან „ენმ“-ის ხელმძღვანელობაში და დარწმუნებული ვარ, ის სავსეა ბოღმით, ვინაიდან ერთმა თავმჯდომარემ - ნიკა მელიამ, მეორემ - ხაბეიშვილმა და სხვებმა ვერ გამოიხსნეს“, - აღნიშნა „ქართული ოცნების“ წევრმა ბექა ოდიშარიამ.

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძის განცხადებას, მისი აზრით, სააკაშვილი არის უპასუხისმგებლო და არათანმიმდევრული პოლიტიკოსი, რადგან ყოველთვიურად ცვლის თავის პოზიციას.

„ხან ამბობს, რომ იმდენად ავად არის, ვეღარ აფასებს ვითარებას, ხან პოლიტიკას ემიჯნება, ხან უკრაინის პოლიტიკაში მონაწილეობს, ხან საქართველოში ჩრდილიდან მართავს თავის პარტიას. დღეს უკვე გამოაცხადა, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი პოლიტსაბჭოს ლიდერი ვიქნებიო. მისი განცხადებები უკიდურესად არასერიოზული და არათანმიმდევრულია“, - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

სამაგიეროდ, ყოფილი პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიას მისივე გუნდში სიხარულით შეეგებნენ.

„მიხეილ სააკაშვილის ეს განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ იგი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „გამარჯვების კოალიციის“ მთავარი ლიდერია, - აღნიშნა „ენმ“-ის წევრმა ანა წითლიძემ. ლევან ხაბეიშვილი კი აცხადებს, რომ სააკაშვილი არის პარტიის ლიდერი და მთავარი მოტივი, რაზეც დგას „ნაციონალური მოძრაობა“.

„ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვების კოალიცია“ მზად არის, რომ მისი მთავარი ლიდერი იყოს პრეზიდენტი სააკაშვილი და უშუალოდ ჩართული იყოს ყოველდღიურ საქმიანობაში და ფაქტობრივად, ეს ამ დროის განმავლობაში ასეც არის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ამ პარტიის ლიდერი და შესაბამისად, მისი გადადგმული ნაბიჯი მთავარია, რაზეც დგას ჩვენი მოტივები, რაზეც უკვე საუბარი იყო“, - განაცხადა ხაბეიშვილმა.

საინტერესოა აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსების აზრი ყოფილი პრეზიდენტის საარჩევნო გეგმებსა და ამბიციებზე.

ᲑᲝᲩᲐ ᲛᲔᲑᲔᲚᲐᲫᲔ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი:

- ვფიქრობ, სააკაშვილის პოლიტიკური გვამის გაცოცხლება „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო პიარის ნაწილია, ხოლო თავად სააკაშვილისთვის - თვითგადარჩენის, ეგოიზმისა და მისივე პარტიის ამჟამინდელი ლიდერების მიმართ ეჭვიანობის გამოძახილი. არადა, რეალობა და სიმართლე უცხადესია - საზოგადოებამ კარგად დაინახა, თუ რა მხდალი, თვალთმაქცი და ყველაფრის მკადრებელია. აქედან დასკვნა - პოლიტიკურად გარდაცვლილი „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ყოფილი ლიდერის, ურეპუტაციო სააკაშვილის პერსპექტივები ზუსტად ისევე მოსჩანს, როგორც მიცვალებულის გულზე დადებული ყვავილის თაიგული.

ᲑᲔᲜᲝ ᲗᲔᲑᲘᲫᲔ, „ლელოს“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოლიტსაბჭოს წევრი:

- „ლელოს“ აქვს სტრატეგია და გეგმა, როგორ შეცვალოს ხელისუფლება, რომელიც ემსახურება რუსეთს.

ვფიქრობთ, რომ მიხეილ სააკაშვილის აზრი მნიშვნელოვანია „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩევლისთვის და ყურადღებით ისმენენ მის პოზიციას. „ლელო“ დგას ქართველი ხალხის გვერდით და დაიცავს მის ინტერესებს როგორც საარჩევნო პროცესში, ასევე სხვა საკითხებთან მიმართებაში.

ᲚᲐᲨᲐ ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ, ქობულეთის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე:

- მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც შეუძლია, დაამარცხოს ივანიშვილის პარტია. ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ პრეზიდენტი სააკაშვილია ის ერთადერთი პერსონა, რომელსაც აქვს უნარები და განუზომელი შესაძლებლობები, ამ ქვეყანაში დაამარცხოს სიღარიბე, გაჭირვება და ეკონომიკური რეგრესი, რომელიც პრორუსი ოლიგარქის „მთავარი მონაპოვარია“. მიშას ლიდერობით დამარცხდება „ქართული ოცნება“ და შესაბამისად, დამარცხდება ამ ქვეყანაში ფესვგადგმული კორუფცია, ნეპოტიზმი, გაჭირვება, ემიგრაცია და უპერსპექტივობა.

მაშასადამე, მივესალმები ექსპრეზიდენტის გააქტიურებას ქართულ პოლიტიკურ ველზე და ჩვენი პარტიის მოწინავე ხაზზე ივანიშვილის კლანთან საბრძოლველად.

ᲚᲣᲙᲐ ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ, „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ბორდის წევრი:

- 2024 წელი საინტერესოდ დაიწყო ქართულ პოლიტიკაში. უკვე დავინახეთ სახელისუფლებო ცვლილებები, პრეზიდენტის აქცენტები, ნიკა გვარამიას პარტიის ჩამოყალიბების დაწყება და ველით ნაბიჯებს ნიკა მელიასგანაც. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს 2024 წლის არჩევნების მნიშვნელობაზე, შესაბამისად, ამ ბრძოლაში აუცილებელია ისეთი რეფორმატორი ლიდერის ჩართვაც, როგორიცაა საქართველოს მესამე პრეზიდენტი. ჩვენს „გამარჯვების პლატფორმასაც“ და სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც გამოადგება ასეთი ლიდერის გამოცდილება და იდეები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიხეილ სააკაშვილს საქართველოში ნახევარ მილიონზე მეტი პირადი მხარდამჭერი ჰყავს და არა მარტო საქართველოში. შესაბამისად, მისი პოლიტიკური გამოცდილება დაგვეხმარება გამარჯვების მიღწევაში. ვფიქრობ, მისი ჩართულობა უფრო გააძლიერებს „ენმ“-საც და ამ „გამარჯვების პლატფორმასაც“.

საბოლოოდ, აუცილებელია წელს ყველა შესაძლო რესურსის და დახმარების გამოყენება, ამ ბრძოლაში კი, რა თქმა უნდა, დიდი როლი ექნება მიხეილ სააკაშვილს, რომელიც დაგვეხმარება გამარჯვების მიღწევაში.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ბათუმში 3400 მოსწავლეზე გათვლილი ორი საჯარო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიფვაძე სკოლების მშენებლობის პროცესს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან და ქალაქის მერ არჩილ ჩიქოვანთან ერთად გაეცნო. წელს ბათუმში 9 საჯარო სკოლის ძირითადი და დამატებითი შენობის მშენებლობა და 16-ის რეაბილიტაციაა დაგეგმილი. დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე 1400 მოსწავლეზე გათვლილი, 3-სართულიანი საჯარო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს. თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ახალ საჯარო სკოლაში განთავსდება სპორტული და სააქტო დარბაზები, ბიბლიოთეკა, მოეწყობა ღია მოედანი და სარეკრეაციო სივრცე. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს ბათუმის №16 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლის მშენებლობაც. სკოლა გათვლილია 2 000 მოსწავლეზე. საკლასო ოთახებთან ერთად, შენობაში განთავსდება ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, 300 მაყურებელზე გათვლილი სააქტო დარბაზი, ღია და დახურული სპორტული მოედნები ტრიბუნებით. ამ ეტაპზე მშენებლობა დასრულებულია და მიმდინარეობს შენობის კეთილმოწყობის სამუშაოები. სკოლები სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე სრულად ადაპტირებული იქნება. საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად წელს ბიუჯეტით 37 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული, რომლის ფარგლებში, რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში 125 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდება.

* * *

ბათუმის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, მემორანდუმით მომდევნო სამი წლის განმავლობაში, ბათუმში მდგრადი მობილობის ინიციატივების, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა, ველოსიპედისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის საპილოტე პროექტებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს სახელით შეარჩევს და განახორციელებს. მემორანდუმს ხელი ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, პროექტის დირექტორმა იან რიკმეიერმა და GIZ-ის საქართველოს ოფისის დირექტორის მოადგილე ანია ვალდრაფმა მოაწერეს. ხელმოწერის ცერემონიას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნაკაიძე ესწრებოდა.

* * *

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა ჯავახიშვილის ქუჩის მცხოვრებლებთან შეხვედრა გამართა, რომელზეც დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ისაუბრა. ჯავახიშვილის ქ.№4ა-ში, მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, აშენდება ახალი სკვერი, დამონტაჟდება საბავშვო ატრაქციონები და საპარკო ინვენტარი. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია განათების სისტემისა და მწვანე კორდის მოწყობა. არჩილ ჩიქოვანის თქმით, სკვერის მოწყობა ნოემბერში დასრულდება, ახალ დასასვენებელ სივრცეში კი სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავები დაირგვება. მისივე განცხადებით, წელს ბათუმს 20 ახალი და განახლებული რეკრეაციული სივრცე შეემატება.

* * *

ბათუმის მერიის პროგრამით გათვალისწინებულია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთა დახმარება გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით. პროგრამის ფარგლებში, გაიცემა 100 ლარის ღირებულების ვაუჩერი წელიწადში ერთხელ. ვაუჩერის მისაღებად განცხადებით უნდა მიმართოთ მერიას და წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია: ქვეპროგრამით მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი, პიროვნების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი (შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, საპენსიო ბარათი), რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, ანგარიშ-ფაქტურა აფთიაქიდან. დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ცხელ ხაზზე: 0 800 000 810 - 1.

* * *

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელმა ზაურ ახვლედიანმა გონიოაფსაროსის ციხის ტერიტორიაზე რომაული ყაზარმის ანალოგი შენობა მოინახულეს, რომლის მშენებლობაც ახლახან დასრულდა. ეს იქნება ახალი სამუზეუმო სივრცე, სადაც გონიოს ციხის ვიზიტიორებს შესაძლებლობა ექნებათ, თვალნათლივ დაინახონ „გაცოცხლებული“ რომაელი ჯარისკაცების ყოფა-ცხოვრება. შენობაში განთავსდება ჯარების მეთაურის ოთახი, ჯარისკაცების საძინებელი, იარაღის შესანახი ოთახი, რომაული სამზარეულო და სხვა დამხმარე სათავსოები. პარალელურად, გონიო-აფსაროსის სამუზეუმო სივრცის განახლების და პეტრას ციხეზე ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, სადაც განთავსებული იქნება გონიოსა და პეტრას ციხეზე აღმოჩენილი არტეფაქტები. სამუშაოები მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება.

* * *

European Best Destinations-მა ბათუმი ევროპის საუკეთესო სამოგზაურო მიმართულებებს შორის დაასახელა. ორგანიზაციამ შესაბამისი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით, ბათუმი ევროპის 20 პოპულარულ ტურისტულ მიმართულებას შორის მეხუთე ადგილს იკავებს. „დაივიწყეთ ბარსელონა და ბერლინი, ბათუმი ბევრად გასაოცარი, ხელმისაწვდომი და ეგზოტიკური ადგილია. აჭარის რეგიონი არაჩვეულებრივი ადგილია დასარჩენად და ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო დასვენებას გთავაზობთ როგორც მისაღები ფასებით, ასევე, ავთენტურობით. მთელი წლის განმავლობაში ქალაქში სუბტროპიკული და ნოტიო ჰავაა, გამოირჩევა გამწვანებითაც. ბათუმს მე-19 საუკუნის ბოტანიკური ბაღი აქვს და გარშემო სამი ეროვნული პარკით არის შემოსაზღვრული, რომლებიც UNESCEO-ს სიაშია შესული“, - ვკითხულობთ სტატიაში.

* * *

ბათუმის ზღვისპირა პარკის საჭადრაკო კლუბში „ნონა“, აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის ორგანიზებით (პრეზიდენტი - შალვა ტაბაღუა) და სპორტის დეპარტამენტის მხარდაჭერით, გაიმართა ღია ტურნირი ქართულ ნარდში ვეტერანთა შორის. ქალთა შორის პირველად იზეიმა გამარჯვება ნათელა კვესელავამ, მეორე და მესამე ადგილზე სვეტლანა უტიანსკაია და ეთერ ჩავლეიშვილი გავიდნენ. მამაკაცებში პირველი ადგილი თამაზ ჯორბენაძემ დაისაკუთრა, მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე იასონ კამკია (სოხუმი) და თემურ მჟავანაძე გავიდნენ. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე აჭარის მამულიშვილთა კავშირის წევრები გავიდნენ (თავმჯდომარე ბიჭიკო ბოლქვაძე), მეორეზე - საჭადრაკო კლუბი „ნონა“, ხოლო მესამეზე - იძულებით გადაადგილებული პირების გუნდი გავიდა. საპრიზო ადგილზე გასულ მონარდეებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

* * *

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, 17-18 თებერვალს კურორტ გოდერძიზე დაგეგმილი ფესტივალი „გიზ-გიზი“, აჭარასა და იმერეთში მომხდარი ტრაგედიების გამო, რამაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, აღარ გაიმართება. ფესტივალის ფარგლებში იგეგმებოდა კვებისა და გასართობი სივრცეების, ფოტოზონების და ზამთრის თემატიკის ინსტალაციების მოწყობა. სტუმრების განწყობაზე სხვადასხვა ბენდს და დიჯეის უნდა ეზრუნა. ფესტივალი ბაკურიანშიც არ ჩატარდება.

მრავალმხრივ ისტორიული არჩევნები...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები, მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდება, მმართველი გუნდი კი მეოთხედ შეეცდება ხელისუფლების შენარჩუნებას

ოპოზიციაში, გარკვეულწილად, მესამე ძალის შექმნის კონტურები გამოიკვეთა. რაც მთავარია, თუ ჩვენი ქვეყანა ამ არჩევნებს სანიმუშოდ ჩაატარებს, საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობა ხარისხობრივად გაუმჯობესდება, ხოლო საპირისპირო სურათის შემთხვევაში, ჩვენი ქვეყანა ანტიდემოკრატიული სახელმწიფოების რიგებში აღმოჩნდება. აქედან გამომდინარე, 2024 წლის არჩევნებზე დიდადაა დამოკიდებული საქართველოს მომავალი...

დასავლეთში საარჩევნო მარათონი არჩევნებამდე ერთი წლით ადრე იწყება - პოლიტიკური პარტიები აქტიურობენ, მოსახლეობას ხვდებიან, მათ პრობლემებს ეცნობიან, საკუთარ მოსაზრებებს აცნობენ სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. ახალს არაფერს ვიტყვი თუ აღვნიშნავ, რომ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საარჩევნო კამპანია ერთგვარი ზეიმია: ლამაზად გაფორმებული პლაკატები, გასაგებ ენაზე დაწერილი ტექსტები, კრეატიული მესიჯები, ახალი სახეები - სხვადასხვა პარტიაში და ჯანსაღი პოლიტიკური დებატები - მედიასივრცეში. განსხვავებული აზრის პატივისცემა დაუწერელი კანონია დასავლურ საზოგადოებაში, აღარაფერს ვამბობ პროფესიონალიზმზე, რამაც ევროპა და, ზოგადად, დასავლეთი ეკონომიკური კეთილდღეობის, პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით მიმზიდველ სივრცედ აქცია, ამიტომაც ესწრაფვიან პოსტსაბჭოთა ქვეყნები ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანებას, რასაც ეწინააღმდეგება რუსეთი.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

თითქმის 9 თვე დარჩა საპარლამენტო არჩევნებამდე და პარტიები ჯერაც ჩამოუყალიბებელი არიან. ამას განაპირობებს არა მხოლოდ მათი მწირი ფინანსური შესაძლებლობები და ურთიერდაპირისპირება, არამედ ხელისუფლების ქმედებები, ანუ პარტიებს ეკრძალებათ საარჩევნო ბლოკების შექმნა, ასევე, 5-პროცენტიანი ბარიერიც ნაკლებ შანსს უტოვებს მათ პარლამენტში მოსახვედრად. თუ დავუჯერებთ სოციოლოგიურ გამოკითხვებს, მხოლოდ ოთხი პარტია („ქართული ოცნება“, „ნაცმოძრაობა“, „საქართველოსთვის“ და „ლელო საქართველოსთვის“) გადალახავს საარჩევნო ბარიერს. რაც მთავარია, პარლამენტში ვერმოხვედრილი პარტიების პროცენტული მაჩვენებელი ბარიერგადალახული პარტიების ყულაბაში წავა, ეს კი მმართველ გუნდს მთავრობის დაკომპლექტების შესაძლებლობას მისცემს, მით უფრო, თუ „ქართული ოცნება“ არჩევნებში, მინიმუმ, 40 პროცენტს აიღებს. ეს სცენარი სავსებით რეალისტურია. ჯერ ერთი, ივანიშვილი დაუბრუნდა ქართულ პოლიტიკას, რაც მმართველი პარტიის რეიტინგს ამაღლებს, მთავრობა გადახალისდა, ქვეყანას ახალი პრემიერ-მინისტრი (ირაკლი კობახიძე) ჰყავს. მეორე - ოპოზიციაში მიმდინარე მოვლენები ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს, „ნაცმოძრაობა“ ნიკა მელიას გუნდმა დატოვა, ძველი თანაგუნდელები ერთამანეთს არ ინდობენ, რას არ აბრალებენ. მაგალითად, ენმ-ის თავჯდომარე ლევან ხაბეიშვილის თქმით, ნიკა მელია, გარკვეულწილად, ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ხაბეიშვილს პარტიის ნომინალურ ლიდერად მიიჩნევს და ამბობს, რომ „ნაცმოძრაობას“ რეალურად მერაბიშვილი მართავს. ასე თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ეს პარტია მნიშვნელოვნად დაზარალდა, რასაც სააკაშვილმაც შეუწყო ხელი - არ ცდილობს დისტანცირებას პარტიისგან. ვერც ენმ-მ დაიხსნა სააკაშვილი საპატიმროდან, ვერც მოსახლეობის მძლავრი პროტესტი ააგორა. არადა, ამ მიმართებით ბაქიბუქობდნენ. მოკლედ, კრახი განიცადეს, მოსახლეობას კი, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა სივრცეში, არ უყვარს დამარცხებული ლიდერები, რასაც ცხადყოფს თუნდაც საქართველოს უახლესი ისტორია.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ჯერჯერობით მთავარი ოპოზიციური ძალა კვლავ „ნაცმოძრაობაა“, არც სხვა ოპოზიციურ პარტიებს აქვთ კარგად საქმე, 5-პროცენტიან ბარიერს, „ნაცმოძრაობის“ გარდა, „ლელო საქართველოსთვის“ და პარტია „საქართველოსთვის“ გადალახავენ. ამ უკანასკნელის რეიტინგი 9 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, რაც, ექსპერტთა თქმით, მოსალოდნელიც იყო, რადგან პარტიამ მესამე ძალის ნიშნული მეტ-ნაკლებად დაიკავა, ანუ მოსახლეობას ეუბნება, რომ ორივე ძალა (მმართველი პარტია და ,,ნაცმოძრაობა“) ერთი და იგივეა და მათი პარტიის გარდა, სხვა ყველა უუნაროა. მკითხველს შევახსენებ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიამ „საქართველოსთვის“ მესამე საპატიო ადგილი დაისაკუთრა, თუმცა ისიც ცნობილია, რომ არჩევნები მოულოდნელობებითაა სავსე. ბევრი რამ მათ ქმედებებზეც იქნება დამოკიდებული, ანუ რა პროგრამებს შესთავაზებენ მოსახლეობას, რამდენად დამაჯერებელნი და პროფესიონალები იქნებიან სხვადასხვა საკითხში. ამ მხრივ ბოლო პერიოდში პარტიამ „საქართველოსთვის“ შეცდომები დაუშვა. იგულისხმება ის, რომ ცდილობს, მმართველ პარტიას „ნაცმოძრაობის“ კრიტიკაში გაეჯიბროს, რაც ოპოზიციური ამომრჩევლისთვის არაფრისმთქმელია. მისი ამომრჩეველი, ძირითადად, „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებული ხალხია, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის. ექსპერტები, თავის მხრივ, მესამე ძალად მიიჩნევდნენ პარტიას „ლელო საქართველოსთვის“, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ეს პარტია ჩამოყალიბდა მთავარ ოპოზიციად, უმთავრესი მიზეზი კი პარტიის არადამაჯერებელი და არათანმიმდევრული გზავნილებია, თანაც ხელისუფლება აპიარებს იმ აზრს, რომ „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერები, ძირითადად, თავიანთი ფინანსების გაზრდით არიან დაინტერესებულნი. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენთან დიდად არ ხიბლავთ ბანკირები, ხაზარაძე და ჯაფარიძე კი თავის დროზე „თიბისი“ ბანკის უფროსები იყვნენ. ამომრჩეველზე ყოველივე ეს ნეგატიურად მოქმედებს. სხვა ოპოზიციურ ძალებზე დიდად არც ღირს საუბარი. ამ მხრივ, ექსპერტები აცხადებენ, რომ პარტიას, „გირჩი მეტი თავისუფლებისთვის“ აქვს შანსი, გადალახოს საარჩევნო ბარიერი. მისი რეიტინგი 4-5 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, თანაც ეს პარტია კრეატიული იდეებით გამოირჩევა.

ჰორიზონტზე იკვეთება ნიკა მელიას და ნიკა გვარამიას მომავალი პარტიების კონტურები, სავარაუდოდ, მათი ელექტორატი შუაშისტი ამომრჩეველი იქნება, რომელსაც არც მმართველი პარტია და არც „ნაცმოძრაობა“ ხიბლავს. თუ რა შანსები ექნებათ მათ, დრო დაგვანახებს...

სოციოლოგიური კვლევებით, ამომრჩევლის დაახლოებით 40 პროცენტი არც მმართველ პარტიას აძლევს ხმას და არც „ნაცმოძრაობას“, რაც ოპოზიციის ნაწილისთვის შანსია, პროცენტული მაჩვენებელი გაზარდოს. ხელისუფლება, გარკვეულწილად, ხარობს ოპოზიციის ურთიერთდაპირისპირებით, მაგრამ მმართველმა პარტიამ უნდა იცოდეს, რომ არც მათი მდგომარეობაა იდეალური. მაგალითად, არასახარბიელოა ეკონომიკური ვითარება, ხელისუფლების მისამართით ისმის დასავლეთის კრიტიკა სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. უდავოა, რომ 2024 წლის არჩევნები მნიშვნელოვანი იქნება. თუ მმართველი პარტია ისევ მოიგებს არჩევნებს, ეს უპრეცედენტო მოვლენა გახდება საქართველოს საპარლამენტო ისტორიაში, რადგან „ქართული ოცნება“ მეოთხედ შეძლებს ხელისუფლებაში დარჩენას, თუმცა ისიც დასაშვებია, რომ გახარიას ან სხვა ოპოზიციურ პარტიასთან კოალიცია („ნაცმოძრაობის“ გარდა) შექმნას, ან კიდევ ვერცერთმა პარტიამ ვერ შეძლოს მთავრობის დაკომპლექტება (იგულისხმება პარლამენტში მოხვედრილი პარტიები). დასავლეთში ასეც ხდება ხანდახან და ეს პროცესი თვეობით გრძელდება. ასე თუ ისე, ცხადია, რომ 2024 წლის არჩევნებს დასავლეთი გამადიდებელი მინით დააკვირდება. თუ ჩვენი ქვეყანა არჩევნების ტესტს სანიმუშოდ ჩააბარებს, ეს გააადვილებს დასავლეთთან რეალურ დაახლოებას. იმედია, მომავალი არჩევნები ცივილურად, დემოკრატიული პაექრობის, დასაბუთებული კრიტიკის ფონზე ჩაივლის და გამარჯვებული და დამარცხებული პარტიები ქვეყნის ინტერესების დასაცავად იმოქმედებენ, რაც მათი უპირველესი მოვალეობაა.

ოპოზიცია

„საქართველოს სჭირდება კოალიციური მმართველობა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა ჯერჯერობით დაბალია მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში გარკვეული საკადრო ცვლილებები განხორციელდა - ირაკლი ღარიბაშვილი ირაკლი კობახიძემ ჩაანაცვლა, რაც, მმართველი გუნდის შეფასებით, ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია

ოპოზიცია ბოლოდროინდელ სამთავრობო ცვლილებებს სკეპტიკურად უყურებს და აღნიშნავს, რომ ივანიშვილმა, რეალურად, მთავრობასა და პარლამენტში გაანეიტრალა კობახიძისა და ღარიბაშვილის გუნდების პოლიტიკური გავლენები. „ბოროტი ენები“ ამბობენ, რომ ყოფილმა პრემიერმა დამოუკიდებელი თამაში დაიწყო. გადაადგილებებია ოპოზიციურ ფლანგზეც, იქმნება ახალი ოპოზიციური პლატფორმები, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი კი სულ უფრო ხშირად აკრიტიკებს მმართველ პარტიას. საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ბორდის წევრ ***ლუკა ფუტკარაძეს*** *ვესაუბრეთ.*

- ვიდრე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ვისაუბრებდეთ, მინდა გკითხოთ: რატომ - „სტრატეგია აღმაშენებელი“? რა იყო ის მთავარი ღირებულება, რისთვისაც ამ გუნდის წევრი გახდით?

- ქართულ პოლიტიკას შორიდან ვაკვირდებოდი სატელევიზიო და სოციალური პლატფორმების საშუალებით, ხოლო როცა გამიჩნდა სურვილი, უფრო აქტიურად ჩავრთულიყავი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში, გადავწყვიტე, გავმხდარიყავი ისეთი პარტიის წევრი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყნის გამთლიანება, თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება და კეთილდღეობა, ეროვნული თანხმობისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზით ნატოსა და ევროკავშირის წევრობა. ასეთი პოლიტიკური პარტიაა „სტრატეგია აღმაშენებელი“, რომელიც აერთიანებს ახალი თაობის რეფორმატორ და პრინციპულ ლიდერებს შესაბამისი საქმიანი გამოცდილებითა და ინოვაციური ხედვებით, ხოლო ლიდერი გახლავთ ახალგაზრდა, ნიჭიერი პოლიტიკოსი გიორგი ვაშაძე. „სტრატეგია აღმაშენებლის“ მთავარი ღირებულებაა: ძლიერი ადამიანი, ძლიერი ოჯახი, ძლიერი საქართველო! „სტრატეგია აღმაშენებელი“ არის შენებაზე ორიენტირებული ძალა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგის პროფესიონალებს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისთვის, როგორებიცაა: მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, მეცნიერება, კულტურა, საგარეო პოლიტიკა, კონფლიქტების მოგვარება, რეგიონალური პოლიტიკა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ეროვნული უმცირესობები, უსაფრთხოება, ახალგაზრდობა და სპორტი.

- რას იტყვით იმ ცვლილებებზე, რომლებიც მთავრობაში განხორციელდა?

- ჩემთვის და ალბათ, საზოგადოებისთვისაც ეს სამთავრობო ცვლილებები არ არის ახალი ამბავი. გამიჭირდება დათვლა, ამ ხელისუფლების დროს რამდენჯერ შეიცვალა პრემიერ-მინისტრი... შესაბამისად, ამ მხრივ სურათი არ შეცვლილა.

- თქვენ, გარკვეულწილად, უარყოფითად აფასებთ მთავრობის საქმიანობას, თუმცა მმართველი გუნდის წევრები აცხადებენ, რომ ქვეყანა ვითარდება, ხოლო ოპოზიცია დამბლადაცემულია, რისი დასტურიცაა, გნებავთ, „ნაცმოძრაობაში“ განვითარებული მოვლენები...

- ქვეყნის განვითარება სხვადასხვა მიმართულებით განაპირობა არა სახელმწიფოს მუშაობამ, არამედ დღეს მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა. საქართველოში არსებული ტემპი დამოუკიდებელი პროცესია, რომელიც მიმართულია სწრაფი განვითარებისკენ. რაც შეეხება ოპოზიციას, ჩვენთვის უმთავრესი, რა თქმა უნდა, ქვეყნის განვითარება და წინსვლაა, გვსურს კეთილდღეობა, მშვიდობა და სტაბილური განვითარება. „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე მოვლენებზე კი ვერ ვისაუბრებ, რადგან ვარ „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი. ზოგადად, ენმ-ში მიმდინარეობს განახლება და რეორგანიზაცია პარტიისა.

- გვერდს ვერ ავუვლით პრეზიდენტის გამოსვლას პარლამენტში. როგორ აფასებთ მის აქცენტებს და გზავნილებს?

- პრეზიდენტის ყველა გამოსვლა პარლამენტში ბოლო დროს საზოგადოებისთვის საინტერესო გახდა, მაგრამ პირადად მე მგონია, რომ სალომე ზურაბიშვილის აქცენტები და გზავნილები ერთია და საქმე - მეორე. სამწუხაროდ, ჩემთვის ის არ არის დამოუკიდებელი პოლიტიკოსი და ვფიქრობ, რომ მისი გზავნილები ემსახურება მხოლოდ საზოგადოების ყურადღების გადატანას და ამას იყენებს ხელისუფლება.

- „პრეზიდენტი მესამე ცენტრის ფორმირებას მარტო ვერ დაიწყებს, ეს მან შუაშისტურ ოპოზიციასთან ერთად უნდა გააკეთოს, მაგრამ ამისთვის უნდა გადადგეს და ამ პროცესში ბოლომდე იყოს“, - განაცხადა ექსპერტმა ვახტანგ ძაბირაძემ. თქვენ რას ფიქრობთ?

იხ. მე-9 გვ.

> *„ლიდერი, რომელიც არ არის დამოუკიდებელი, რთულია დაიჯერო, რომ შექმნის მესამე ცენტრს. ჩემი აზრით, ქალბატონმა პრეზიდენტმა ჯერ უნდა მოიპოვოს საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ნდობა, შემდეგ კი გადავიდეს მოქმედებებზე... შესაბამისად, ვეთანხმები ექსპერტ ვახტანგ ძაბირაძეს და ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის მხრიდან მოქმედებების დროა*

როგორ უმკლავდებიან სირთულეებს წყალსაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში?

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სტიქიის შემოტევას აჭარის მთიანეთის თითოეული მკვიდრი ორგანიზებულ მუშაობას, არსებული საშუალებების მაქსიმალურ მობილიზებას უპირისპირებს. საქმე და საზრუნავი მოძალებული აქვთ თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს. ჩვენი სტუმარია შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი წყალსაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში სულიკო გოლძვაძე

- ზამთარი, თოვლი აჭარის მთიანეთში ყოველთვის სირთულეებს ქმნის, განსაკუთრებით, ისეთი გეოგრაფიული მდებარეობის სოფლებში, როგორებიც ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულშია. ნაღვარევი, ინწკირვეთი, ბრილი ზღვის დონიდან 1300 მეტრზე მაღლაა, ნაღვარევი კი ყველაზე შორეული, უხვნალექიანი დასახლებაა, რომლისთვისაც მეწყერი უცხო არაა. 50-60 წლის წინათ ამ სოფელში სულ სხვა მდგომარეობა იყო. 150-კომლიანი დასახლებისთვის საფრთხე შეიქმნა, როცა აჭარა-გურიის ქედის ერთ კალთაზე მეწყერი განვითარდა. მისი ნარჩენები ჯერ კიდევ არ წაშლილა. ახლა ზამთრობით ნაღვარევში 30-35 ოჯახი თუ რჩება. მთელი წლის განმავლობაში ცარიელია ფოთარო და ძაღლანი. თუ მიგრაციული პროცესები ასე გაგრძელდა, მალე გორიკული და ცაცხვნარაც დაცარიელდება.

- ზვავ-მეწყრის გამო მიდის მოსახლეობა თუ...

- მრავალ ფაქტორთა შორის, ზვავ-მეწყრის საშიშროებაც არ გამოირიცხება. უფროსი თაობის ადამიანებს ის დროც გვახსოვს, როცა საავტომობილო მიმოსვლა ნაღვარევსა და ინწკირვეთში 3-4 თვის განმავლობაში შეუძლებელი იყო. ყოფილა წლებიც, როცა მძიმე ავადმყოფები, განსაკუთრებით - მშობიარე ქალები შვეულმფრენით გადაუყვანიათ. ახლა ერთი კვირით თუ ფერხდება საავტომობილო მიმოსვლა. წელს ვარაუდობენ ხიჭაური-ნაღვარევის საავტომობილო გზის დარჩენილ მონაკვეთებზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებას. მოსწავლეთა მცირე კონტინგენტის მიუხედავად, ბრილში, ინწკირვეთსა და ნაღვარევში სამსაფეხურიანი საჯარო სკოლები მოქმედებს. თავის დროზე უნიკალურ საკომუნიკაციო ნაგებობად ითვლებოდა გიდელას ხევში 68 მეტრი სიგრძის ხიდი, რომელიც სიღრმიდან 45 მეტრია. შარშან ხევში შემოვლითი გზაც გაკეთდა. დიდი ტვირთამწეობის მანქანები, ბულდოზერები ამ გზით მოძრაობენ. აღარც ზვავების ჩამოწოლა შეაფერხებს გადაადგილებას, რადგან აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის შუახევის განყოფილების ხელმძღვანელობას ტრაქტორი ზამთრობით ნაღვარევში ჰყავს გაჩერებული და გზა თოვლისგან სწრაფად იწმინდება. მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტიც განხორციელდა.

> ***„შარშან ხევში შემოვლითი გზაც გაკეთდა. დიდი ტვირთამწეობის მანქანები, ბულდოზერები ამ გზით მოძრაობენ. აღარც ზვავების ჩამოწოლა შეაფერხებს გადაადგილებას, რადგან აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის შუახევის განყოფილების ხელმძღვანელობას ტრაქტორი ზამთრობით ნაღვარევში ჰყავს გაჩერებული და გზა თოვლისგან სწრაფად იწმინდება. მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტიც განხორციელდა***

- სახელდობრ?

- შარშან დასრულდა სოფელ ინწკირვეთის ცენტრის კეთილმოწყობა. ანალოგიური სამუშაოები შესრულდა ბრილშიც. ნაღვარევში ბოლო ათ წელიწადში 20-ზე მეტი პროექტია განხორციელებული. შარშან ღია სპორტული მოედნის მოწყობა დასრულდა.

- ბრილში სამთო-სათხილამურო ბაზის შექმნაზეცაა საუბარი...

- დიახ, ინიციატორი ამ სოფლის მკვიდრი თემურ ზოიძეა, რომელმაც რამდენიმე საჩვენებელი ღონისძიება გამართა. ტერიტორია იდეალურია, თოვლიც ინტენსიურად მოდის და სასრიალო სტანდარტებს აკმაყოფილებს. ბრილში სამთო-სათხილამურო გზის მოწყობა სოფლის მომავალს სასიკეთოდ წაადგება.

- ბრილის თიხის მოპოვება-დამუშავებას რა პერსპექტივა აქვს?

- კერამიკოს ლია კასპელაშვილისა და სხვათა ინიციატივით, ბრილში კერამიკის ფესტივალი იმართება. ამ ღონისძიებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მოსახლეობის მოთხოვნაა, რომ თიხის მოპოვების შემდეგ იგი ადგილზე დამუშავდეს და ადგილობრივი მუშახელიც დასაქმდეს, რაც მიგრაციის პროცესს შეამცირებს.

- ჭვანის ხეობას, კერძოდ, თქვენი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიებს, დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. ვიზიტორების მოსაზიდად, ტურისტული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად რა კეთდება?

- ფესტივალები „ჯვარიმინდორი“, „ლელთობა“, „ნაღვარეობა“ ტურიზმის განვითარებასაც უწყობს ხელს. 11 წლის წინ „ჯვარიმინდორი“ რომ წამოვიწყეთ, მთავარი სანახაობა კლდეში არსებული ბუნებრივი ჯვარი იყო. ფესტივალის მონაწილენი მისი და მთაში არსებული ჭინჭაოს ტბის დალაშქვრით შემოიფარგლებოდნენ. ახლა ჯვარიმინდორის შემოგარენში სანახაობითი ობიექტები გაკეთდა. უკვე უცხოელი ინვესტორებიც დაინტერესდნენ. შუახევის მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძის ინიციატივით წამოწყებულ სახალხო დღესასწაულ „ნაღვარეობას“ ლელთის ტბის ტურისტული პოტენციალის ათვისება და „ნაღვარეობის“ „ლელთობით“ ჩანაცვლება მოჰყვა. იდეად არ დარჩება „წისქვილების სოფლის“ მოწყობაც. საფრთხე აღარ ემუქრება სოფელ ხაბელაშვილებში, მერეს უბანში არსებულ სამი საუკუნის ხის ხიდს. მისი შეკეთება-გამაგრებით დიდი საქმე გაკეთდა. უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორების რიცხვიც გაიზარდა. საუბარია ახალ ტურისტულ მარშრუტზე სამთო კურორტების გომის მთის და ბახმაროს მიმართულებით. პირველის გზა სოფელ ხაბელაშვილებზე გადის, მეორის - ნაღვარევზე. წლევანდელ უხვნალექიან ზამთარშიც გვსტუმრობენ უცხოელი და ადგილობრივი ტურისტები.

- დაგეგმილ პროექტებზე რას გვეტყვით?

- 10-მდე განსახორციელებელი პროექტი ცნობილია და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათ შესასრულებლად თანხებიც - გაწერილი. მალე კონკურსიც გამოცხადდება და გამარჯვებულები მუშაობას შეუდგებიან. ეს პროექტები, მეტწილად, მეწყერ და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს. ადმინისტრაციულ ერთეულში, 15 ლოკაციაზე, სოფლის გზებზე ბეტონის საფარი დაიგება და 190 ათას ლარზე მეტი სამუშაოები შესრულდება. ჩვენი მიზანია, ყველა პროგრამა-პრიორიტეტი ხარისხიანად და დათქმულ ვადებში შევასრულოთ.

საკურორტო ქალაქიდან – მთის მიუვალ სოფლამდე

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

მთიანი სოფლის სკოლებში ახალგაზრდა პედაგოგების ნაკლებობაა. მთაში წასვლა და იქ კარიერის გაგრძელება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ არიან მასწავლებლები, რომლებიც სიძნელეებს არ უშინდებიან და ოჯახიდან შორს აგრძელებენ პროფესიულ საქმიანობას.

*ჩვენი სტუმარია 25 წლის **ლუიზა შანიძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომელიც ქობულეთიდან ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომში გადავიდა საცხოვრებლად და გორგაძეების საჯარო სკოლაში ასწავლის. ის სკოლაში ერთადერთი ქალი მასწავლებელია. ამბობს, რომ მთის რთულ პირობებს პედაგოგები გაურბიან.*

- რა იყო საკურორტო ქალაქიდან მთის მიუვალ სოფელში წასვლის მთავარი მიზანი?

- ყველა ადამიანი, რომელიც გარდამტეხ ნაბიჯს დგამს, განვითარებაზე ფიქრობს. ამ ნაბიჯს უნდა მოეტანა ჩემთვის წარმატება და ჩემი მოსწავლეებისთვის - უკეთესი მომავალი. გამიხარდება, თუ მთაში მცხოვრებ ბავშვებში გავაღვივებ ნაკვერჩხალს, რომელიც ჩუმად ანათებს.

- რამდენად მარტივი იყო თქვენთვის მთაში წასვლის გადაწყვეტილების მიღება?

- ეს გადაწყვეტილება არ მიმიღია სპონტანურად. ძალიან დიდ ხანს ვემზადებოდი ამისთვის, შეიძლება ითქვას, წლებიც და ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ გადაწყვეტილების მიღება რთული იყო.

- გაიხსენეთ მოსწავლეებთან პირველი შეხვედრა...

- მახსოვს, სკოლის პირველ დღეს ყველა გარეთ იყო და მელოდებოდა. მათ არასდროს ჰყოლიათ ქალი მასწავლებელი და სიხარულით შემხვდნენ. შემდეგ მითხრეს, რომ გავიგეთ, ახალგაზრდა მასწავლებელი მოდიოდა და თანაც ქალი, უკვე გვიყვარდითო.

- როგორ მიგიღოთ სოფლის მოსახლეობამ, მშობლებმა?

- სოფელში ძალიან თბილი ხალხი ცხოვრობს. ერთმანეთის მიმართ ყველა პატივისცემით არის განმსჭვალული. მეც ისე მიმიღეს, როგორც თანასოფლელი. ერთმანეთს ხშირად ვსტუმრობთ, ვსაუბრობთ, ერთად ვსაქმიანობთ. მოსწავლეების მშობლებთანაც ხშირი კომუნიკაცია მაქვს, ჩვენი ურთიერთობა ჯანსაღია, რაც ძალიან მახარებს.

- რთული იქნებოდა სოფლის მკაცრ პირობებთან შეგუება. რა გაგიჭირდათ ყველაზე მეტად?

- მიუხედავად იმისა, რომ ყველა სეზონს თავისი ხიბლი აქვს და ზამთარიც ძალიან მიყვარს, მაინც გამიჭირდა მთის მკაცრ პირობებში. არის დღეები, როცა გადაუღებლად თოვს და გზები იკეტება. ცდილობენ გაწმენდას, მაგრამ სანამ თოვა არ შეწყდება, ტექნიკა ვერ მოძრაობს და რთულია გადაადგილება. მთაში პრობლემა ეს არის.

- მთის სკოლებში რა პრობლემაა?

- ერთადერთი და გადაუჭრელი პრობლემა, რაც მთის სკოლებშია, კადრების ნაკლებობაა. მაგალითად, ჩვენ არ გვყავს ფიზიკის მასწავლებელი და ჩემს მოსწავლეებს გაკვეთილები არ უტარდებათ. ვფიქრობ, ეს საკითხი განსახილველია და შემდეგ შესაბამისი ზომებია მისაღები.

- რატომ არ მიდიან მთაში მასწავლებლები, რა არის მთავარი მიზეზი?

- რა თქმა უნდა, საყოფაცხოვრებო პირობები და მკაცრი ზამთარი. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და რაც ჩემთვის მისაღებია, ის სხვისთვის სულაც არაა სახარბიელო, ამიტომ მათ ვერ გავამტყუნებ. ბევრს ზამთარიც კი არ უყვარს.

- რა განსაკუთრებულ მიდგომებს იყენებთ მოსწავლეებთან წარმატების მისაღწევად?

- ალბათ, რამდენი მასწავლებელიცაა, იმდენი სტრატეგია და ხერხი არსებობს მოსწავლეებამდე სათქმელის უკეთ მისატანად, მათი აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად. სწავლის პროცესი რაც უფრო მეგობრული და სახალისო იქნება,

შედეგიც მით უფრო არ დააყოვნებს. ვცდილობ, თამაშებით და მსგავსი აქტივობებით წარვმართო ჩემი საგაკვეთილო პროცესი.

- თქვენი აზრით, როგორ გაგიხსენებენ წლების შემდეგ მოსწავლეები?

- არ ვიცი, როგორ გამიხსენებენ, მაგრამ მე ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ჩემმა მოსწავლეებმა სიყვარულით მომიგონონ. თუ ერთი მოსწავლე მაინც იტყვის, რომ მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შევცვალე, ესე იგი სწორ გზაზე ვდგავარ..

- საგნის გარდა, რას სწავლობენ თქვენგან ბავშვები?

- მინდა, მოსწავლეებმა ჩემგან მეგობრობა, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა ისწავლონ, აგრესიას არ უპასუხონ უფრო დიდი აგრესიით. ვასწავლი, რომ ყველა მიზანი არ ამართლებს საშუალებას.

- თავისუფალ დროს თუ ატარებთ თქვენს მოსწავლეებთან?

- დიახ, ძალიან ხშირად. მე ისედაც ჩემს მოსწავლეებთან ვცხოვრობ. სანამ თოვლი მოვიდოდა, პიკნიკებზე დავდიოდით. ახლაც მოუთმენლად ველოდებით გაზაფხულის დადგომას, რომ ძველი დრო გავიხსენოთ.

- ოცნება, რომელიც თქვენს მოსწავლეებს უკავშირდება?

- მინდა, იპოვონ საკუთარი თავი, აკეთონ საყვარელი საქმე, უსმინონ გულს და დაიპყრონ მწვერვალები, რაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მე კი შემიძლია ვიყო მათი ერთგული მეგობარი, მოვისმინო მათი პრობლემები ნებისმიერ დროს და დავეხმარო გადაჭრაში.

„ვუდჰაიდი“ – ყველა ტიპის დამსვენებელზე მორგებული განტვირთვის სივრცე

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარი წარმატებული ქალბატონი ნათია კახიძეა. მაჭახლის ხეობაში, სოფელ ზედა ჩხუტუნეთში ზღაპრული კოტეჯების ჩადგმის იდეა სწორედ მას ეკუთვნის. პარალელურად, შპს „მაქსიმაში“ შოურუმის მენეჯერია. მიაჩნია, რომ წარმატება მიზანდასახულობის, შრომისმოყვარეობისა და საქმისადმი დიდი სიყვარულის შედეგია. აღსანიშნავია, რომ აჭარის ტურისტულ რუკაზე „ვუდჰაიდმა“ თავისი განსაკუთრებული ადგილი მალევე დაიმკვიდრა და მაჭახლის ეროვნული პარკის პოპულარიზაციასაც შეუწყო ხელი

რა სირთულეები ახლდა წარმატებული კარიერის შექმნას?, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მიმართულება ტურიზმის სექტორში?

- **ნათია კახიძე** *ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე გვესაუბრება.*

- ქალბატონო ნათია, როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი წარმატების საწინდარი?

- ვერ ვიტყვი, რომ წარმატების მხოლოდ ერთი და უნივერსალური რეცეპტი არსებობს, მაგრამ დაუღალავი შრომა და სწრაფვა მიზნისკენ თავისთავად მოიტანს შედეგს. მთავარია, ზუსტად იცოდე, რა გსურს და არასოდეს შეწყვიტო გზების ძიება, რომელიც მიზნამდე მიგიყვანს. ჩემი წარმატების გასაღებიც ესაა. ადრე რომ გეკითხათ, გეტყოდით, რომ შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრება, შემდეგ კი საკუთარი ბიზნესის დაწყება შეუძლებელია. ჩემი კარიერა 15 წლის წინ დაიწყო. მაშინ სამსახურის შოვნაც კი ფუფუნება იყო. რთული, თუმცა, საინტერესო გზა გამოვიარე.

- გზაზე, როგორც ქალს, შეგექმნათ თუ არა რაიმე სახის დაბრკოლება საზოგადოებისა თუ დამსაქმებლის მხრიდან?

- სანამ ჩემს სფეროში თავს დავიმკვიდრებდი, კორპორატიულ კლიენტებს შევიძენდი და სანდოობის გარანტი გავხდებოდი, ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი ვიბრძოლე. ასეთივე რთული იქნებოდა მამაკაცისთვის ამავე გზის გავლა? ვფიქრობ, რომ - არა. ქალს სხვადასხვა სფეროში მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით უწევს ბრძოლა.

- რომელ კომპანიებთან თანამშრომლობამ შეუწყო ხელი თქვენს პროფესიულ ზრდას და რატომ?

- ყველაზე მეტად გამოვარჩევდი „ალტაში“ მუშაობის წლებს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კომპანია ბაზარზე, რომელმაც გაზარდა როგორც თავისი მომხმარებლების რიცხვი, ასევე, თავისი გუნდის თითოეული წევრი. მეც უამრავი რესურსი მომცა კარიერული წინსვლისთვის. ასეთი კომპანიები დღეს იშვიათად გვხვდება. უმეტესად, კადრებს აღიქვამენ როგორც დროებითი სარგებლობის რესურსს, კომპანიები მათში ინვესტიციას არ დებენ და მერე საუბრობენ ბაზარზე დაბალი ხარისხის კადრების არსებობაზე.

- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი მიმართულება ტურიზმის სექტორში?

- მოგეხსენებათ, ტურიზმის სფერო მრავალი კომპონენტისგან შედგება და საბოლოოდ ქმნის ერთ მთლიანობას, რაც კომერციულ საქმიანობასთან ერთად, ხალხებს შორის კულტურული ინფორმაციის გაცვლას ემსახურება. ტურიზმი, ჩემი აზრით, არ უნდა განვიხილოთ როგორც მომსახურების სერვისი, ვერც იმას ვიტყვით, რომ მისი დანიშნულება მხოლოდ კულტურული მოღვაწეობაა. ტურიზმი გართობის, თავგადასავლების, დასვენების, განტვირთვის სფეროებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ. ამიტომ, როგორც უკვე აღვნიშნე, ტურიზმი მრავალი კომპონენტისგან შედგება და ტურისტული სივრცე ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტს უნდა შეესაბამებოდეს, რათა სხვადასხვა ინტერესის მქონე დამსვენებლისთვის მისაღები გახადო.

- ცოტა რამ „ვუდჰაიდზე“...

- მინდა ჩემს ტურისტულ სივრცეში - „ვუდჰაიდში“ გამოგზაუროთ, რომელიც მაჭახლის ხეობაში, სოფელ ზედა ჩხუტუნეთში მდებარეობს. „ვუდჰაიდამდე“ მიმავალ გზაზე ტურისტი, გარდა ულამაზესი ბუნების, ხვდება ეთნოგრაფიულ ღირსშესანიშნაობებსაც. ესაა თამარ მეფის ხიდი, რომელიც მეთორმეტე საუკუნით თარიღდება, ასევე, ღვინის მარნები, სოფლის ცენტრში მდებარე ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც ტურისტს საშუალება აქვს, გაეცნოს მთიანი აჭარის მოსახლეობის ყოფის ამსახველ ნივთებს. სოფელში, ასევე, მდებარეობს ისტორიული სამჭედლო, რომელიც გვიყვება საერთაშორისო ასპარეზზე განთქმული ძველი იარაღის წარმოებაზე. „ვუდჰაიდიდან“ რამდენიმე წუთის სავალზეა ჩანჩქერთა კასკადი, რომელიც „დედოფლის კაბის“ სახელითაა ცნობილი. აქვე აღსანიშნავია ჩანჩქერებთან მისასვლელი მარშრუტის სირთულე, რომელიც ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთათვის მისაღებია, თუმცა სხვა ტიპის დამსვენებლისთვის ცოტა თავსატეხს წარმოადგენს. სოფელ ზემო ჩხუტუნეთში, აჭარის სხვა მთიანი სოფლების მსგავსად, ტურისტი შეხვდება სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანებს, მუსლიმურ და ქრისტიანულ სალოცავთა ნაშთებს, ორი რელიგიის უკონფლიქტო თანაცხოვრების მაგალითებს. „ვუდჰაიდი“ სიმწვანეში ჩაფლული ორი ხის კოტეჯია, რომელიც კომფორტულ საძინებლებთან ერთად, მოიცავს დიდ ვერანდას და საუნას, დამსვენებელს შეუძლია, დააგემოვნოს აჭარული კერძები (ცნობისთვის, ვიკვლევ ძველ აჭარულ სამზარეულოს და მალე „ვუდჰაიდში“ ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ, მიირთვან ის კერძები, რომლებიც სხვაგან ძალიან იშვიათად ან საერთოდ არ მზადდება), გაისეირნოს ტყეში, გაეცნოს აჭარის ბუნების მრავალფეროვნებას, ენდემურ მცენარეულ ჯიშებს... ერთი სიტყვით, „ვუდჰაიდი“ დამსვენებლის ყველა ტიპზეა მორგებული და მოიცავს ტურიზმისთვის აუცილებელ ყველა კომპონენტს.

- თქვენი აზრით, რა აუცილებელი თვისებები სჭირდება მენეჯერს, რომ იყოს წარმატებული და კონკურენტუნარიანი?

- სწორად აღნიშნეთ - თვისებები, რადგან ხშირად ფიქრობენ, რომ მხოლოდ ლიდერის ფუნქცია განასხვავებს კარგ მენეჯერს სხვებისგან. თავისთავად, მენეჯერი უნდა იყოს ლიდერი, მაგრამ, ასევე, ის უნდა იყოს შრომისმოყვარე, სამართლიანი, ემპათიური, ქარიზმატული და მისი გადაწყვეტილებები ემთხვეოდეს კომპანიისა და მომხმარებლის ინტერესებს.

- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები და სად წარმოგიდგენიათ პროფესიული საქმიანობა რამდენიმე წელიწადში?

- ამ ეტაპზე მაქვს როგორც პირადი კარიერა, ასევე, საკუთარი ბიზნესი და საკმაოდ კარგად ვგრძობ თავს ამ ამპლუაში. ვმუშაობ კომპანიაში, რომელიც ჩვენს რეგიონში და არა მარტო, არის ლიდერი ბაზარზე. კომპანიაში ინერგება ახალი სტანდარტები და სერვისები, რაც, დარწმუნებული ვარ, მომავალ წარმატებაში აისახება. ჩვენი კომპანია იმდენად ძლიერი და პროფესიონალი გუნდის შექმნილია, რომ ჯერ კიდევ ბევრ სიახლეს უნდა ველოდო აქაც და ეს მნიშვნელოვანს ხდის ჩემს მომავალსაც ამ კომპანიაში. თუმცა, მეორე მხრივ, ტურიზმს სიამოვნებით ავირჩევდი იმ სფეროდ, სადაც საბოლოოდ დავიმკვიდრებდი თავს. მიყვარს ჩვენი რეგიონი, აჭარა, განსაკუთრებით, მაღალმთიანი და, ვფიქრობ, რომ ბათუმის სეზონურობის პრობლემას სწორედ მათი განვითარებით მოვაგვარებთ. იმდენად საინტერესოდ ვითარდება ჩემი კარიერა და ბიზნესი, რომ სიახლეებსაც არ გამოვრიცხავ.

გიდი – როგორც ტურისტული ადგილის ელჩი

ბათუმი პირველად უმასპინძლებს გიდების საერთაშორისო კონფერენციას. მასში, ქართველ მომხსენებლებთან ერთად, პორტუგალიის, პოლონეთის, სამხრეთ აფრიკისა და ისრაელის წარმომადგენლები, მოწვეული გიდები და ტურიზმის სფეროს ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება ტურისტული გიდების ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია, ასევე, პორტუგალიის ტურისტული გიდებისა და ტურ-მენეჯერთა ასოციაცია და სხვა მნიშვნელოვანი, ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ორგანიზაციები.

კონფერენციაზე საქართველოსა და აჭარის გიდების ასოციაციების ხელმძღვანელებთან, გასტრონომიის, ღვინისა და ტურიზმის დარგის ქართველ ექსპერტებთან ერთად, პანელური სესიებზე შემდეგი თემები გაიხილება: გიდის როლი ტურისტული ადგილის პოპულარიზაციაში - გიდი, როგორც ტურისტული ადგილის ელჩი; გლობალური ტურიზმი და გიდის პროფესია - უნიკალური გამოცდილება, თანამედროვე ტექნოლოგიები და გამოწვევები; ტურიზმი და მუზეუმები - მუზეუმი, როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიის საცავი.

გიდების საერთაშორისო კონფერენციას ბათუმი 21-22 თებერვალს უმასპინძლებს.

რატომ აირჩია მაყვალა ირემაძემ მებრძოლის გზა?

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ხულოს რაიონში პირველი საშუალო სკოლა ღორჯომში გაიხსნა. ყველაზე ხანგრძლივი დროით, თანაც ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში, სკოლას სათავეში ედგა აქაური ირემაძეების რძალი ***მაყვალა ირემაძე.*** *17 წლის განმავლობაში ეს სასწავლი კერა მოწინავე პოზიციებზე იყო. კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა საქართველოსა და უცხოეთში მიღებული კვალიფიციური განათლება დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მეურნეობის განვითარებას მოახმარა. ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, მაყვალა პენსიაზე გააცილეს, „საპატიო ხულოელის“ წოდებაც მიანიჭეს. ბავშვებთან ურთიერთობას მაინც ვერ შეელია და ღორჯომის ბაგა-ბაღის მენეჯერად დაიწყო მუშაობა. ამ დღეებში მას 65 წელი შეუსრულდა.*

- ქალბატონო მაყვალა, გილოცავთ საიუბილეო თარიღს. ცხოვრების დიდი გზა გამოიარეთ. რომელ პერიოდს მიიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვნად?

- ჩემს ცხოვრებას სამ ეტაპად დავყოფდი: სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და კვლავ სკოლა, ოჯახი. ყველა ეტაპი მნიშვნელოვანია და ერთმანეთიდან გამომდინარე, მაგრამ მეტ მნიშვნელობას უკანასკნელს მივანიჭებდი, რადგან აქ ყალიბდები პიროვნებად, მოქალაქედ, საზოგადოების ღირსეულ წევრად. დავიბადე 1959 წლის 9 თებერვალს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვაბღაში. 1976 წელს, აქვე წარჩინებით დავამთავრე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1976 წელს ბედი დავუკავშირე ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომის მკვიდრ თამაზ ირემაძეს. მოვხვდი პროგრესულად მოაზროვნე, ტრადიციულ და სტუმართმოყვარე ოჯახში, კარგ მეზობლებში და არ გამჭირვებია ახალ გარემოსთან შეგუება. მამამთილი რევაზ ირემაძე პროფესიით პედაგოგი იყო. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. დედამთილი სურიე ზოიძე-ირემაძე განათლებული, კულტურული, შესანიშნავი მეოჯახე იყო. კარგი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა. მეც ვცდილობ, ასეთი დედამთილი ვიყო. ბევრი რამ მასწავლეს და მინდა მადლობა გადავუხადო მათ სულებს. უფალმა ნათელი დაუმკვიდროთ.

- მეუღლე - თამაზ ირემაძე შუა აზიაში გადასახლების პერიოდში დაიბადა. ოჯახი ამ ტრაგიკულ წლებს როგორ იხსენებდა?

- ოჯახის კეთილდღეობაზე ძალიან იმოქმედა 1937-1951 წლების რეპრესიებმა. 1937 წელს ჩამოართვეს საგვარეულო ქონება ქალაქ ბათუმსა და მახინჯაურში, ხოლო 1951 წელს ყაზახეთში გადაასახლეს. ჩემი მეუღლე იქ დაიბადა. დედის ძმამ, თოფია ზოიძემ, ქალბატონი სურიე და დისშვილები ყაზახეთიდან გამოაპარა, ხოლო მამამთილი და მისი ძმა მოგვიანებით დაბრუნდნენ სამშობლოში. ოჯახის რეაბილიტაციის ცნობა გვიან მიიღეს, ქონება კი არ დაუბრუნებიათ. მიუხედავად ამისა, ოჯახმა შეძლო ცხოვრების გაგრძელება. ერთხელ მაინც უნდა დაეცე, რომ წამოდგომის ფასი ისწავლო.

- რევაზ ირემაძე წლების განმავლობაში სკოლის დირექტორი იყო, თქვენი მეუღლე, თამაზი, თითქმის 15 წლის განმავლობაში ღორჯომის თემს ედგა სათავეში.

- რევაზ ირემაძე სხვადასხვა საშუალო და 8-წლიანი სკოლის დირექტორი იყო. დიდ პატივს სცემდა ექიმებს და ძალიან უნდოდა, შთამომავლობიდან რომელიმეს ექიმის პროფესია აერჩია. შვილიშვილებიდან ნატო ირემაძე ექიმია, მუშაობს ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის კლინიკურ მენეჯერად, მზია და რამაზ ვანაძეები სტომატოლოგები არიან. ექიმია ოჯახის სიძე ოთარ ვანაძე - ცნობილი რეანიმატოლოგი. მეუღლემ ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა, მუშაობდა რიგ თანამდებობებზე, ბოლო 13 წელი იყო ღორჯომის ხეობის ხელმძღვანელი. მის სახელს უკავშირდება ღორჯომში სხვადასხვა ობიექტის აგება, სახალხო დღესასწაულების დაწესება, იალაღებზე დენის გაყვანა და სხვა. ყველგან, სადაც იმუშავა, კეთილი კვალი დატოვა. შარშან მისი სახელი მიენიჭა ღორჯომის კულტურის სახლს, რისთვისაც მადლობას ვუხდი მოსახლეობას, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერ ვახტანგ ბერიძეს. თამაზი ხეობაში შემოსული ყველა სტუმრის მასპინძელი იყო. პოეტ ზურაბ გორგილაძეს 65 წლის იუბილე ღორჯომში, ჩვენს ოჯახში გადავუხადეთ. თამაზს ბევრი მეგობარი ჰყავდა, მათთან ერთად აგვარებდა როგორც სოფლის, ისე რიგითი ადამიანების პრობლემებს. ვცდილობ, მათი საქმეების გამგრძელებელი ვიყო.

- განვლილ გზაზე რას გვეტყვით?

- 1980 წელს დავიწყე მუშაობა ღორჯომის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. იყო პედაგოგი, ძალიან რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობაა. მასწავლებელზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად გაუკვალავს ბავშვს გზას. ბავშვი არ არის ადვილად გასაფერადებელი დაფა, თან შენ რომ გინდა, იმ ფერებითაც ვერ გააფერადებ. საჭიროა შემოქმედებითი მიდგომა, კვლევა, ძიება, სწორი გზების გამონახვა, რომ სასურველი შედეგი მივიღოთ. ჩვენს საყვარელ მწერალ ნოდარ დუმბაძეს აქვს ნათქვამი „თეთრ ბაირაღებში“, „ადამიანი ფრესკა არ არის, რომ ერთ სიბრტყეში უყურო, ადამიანს, როგორც ქანდაკებას, ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება“. ეს არის მასწავლებლის საქმის უმნიშვნელოვანესი განსაზღვრება. თუ თითოეული მასწავლებელი თავის მოსწავლეში აღმოაჩენს იმ უნარ-ჩვევებს, საიდანაც „ლამაზად იმზირება“ და წარმართავს მუშაობას იმ მიმართულებით, ჩვენ სამომავლოდ მივიღებთ კარგ მათემატიკოსს, ინჟინერს, ისტორიკოსს, არქიტექტორს, ქვეყანაც განვითარდება. 1994 წელს დავინიშნე ღორჯომის საშუალო სკოლის დირექტორად, გაიზარდა პასუხისმგებლობა, ჩავიბარე სკოლა, სადაც ცხრა საგნის სპეციალისტი არ გვყავდა. ძალიან რთული მდგომარეობა იყო, ვეხვეწებოდი ყოფილ პედაგოგებს, სკოლაში დაბრუნებულიყვნენ, ჩემს მოსწავლეებსაც, რომლებიც უკვე სტუდენტები იყვნენ. მოკლედ, ბევრი სირთულე გამოვიარეთ და საბოლოო ჯამში, სკოლამ სრული შემადგენლობით დაიწყო ფუნქციონირება. სკოლას 35 წლის განმავლობაში არ ჰქონდა ჩატარებული კაპიტალური რემონტი, არადა, საჭიროებდა. ამ საქმეში დახმარება ვთხოვე ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაშინდელ თავმჯდომარე რევაზ მიქელაძეს... საბოლოოდ, სკოლა გარემონტდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკოლის ინვენტარსაც. ამის პარალელურად, სოფელში გადაწყდა მინისპორტული მოედნის მშენებლობა, გამოინახა ადგილიც, მაგრამ ვთხოვე რაიონის მაშინდელ გამგებელ ზურაბ ხოზრევანიძეს, რომ პროექტი შეეცვალა და სტადიონი სკოლის ტერიტორიაზე გაეკეთებინათ, რათა სოფლის ახალგაზრდების გარდა, სტადიონით სკოლის მოსწავლეებსაც ესარგებლათ. პროექტი შეიცვალა და სტადიონი სკოლის ტერიტორიაზე მოაწყვეს. პროექტ „ირმის ნახტომში“ რომ გავიმარჯვე, შედეგად სკოლაში 10 პერსონალური კომპიუტერი შემოვიტანე. თანდათანობით მისი რაოდენობა 21-მდე გაიზარდა. მოსწავლეებს ჩემი დირექტორობის პერიოდში არანაირი პრობლემა არ შექმნიათ სასკოლო ინვენტარის უქონლობის გამო. ეწყობოდა ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები, შემოქმედებითი კონფერენციები. სკოლაში ვიწვევდით ცნობილ ადამიანებს.

> *„ ამ ბრძოლაში მქონდა წარმატებებიც, წარუმატებლობაც, მაგრამ გული საქმეზე არასდროს ამიცრუებია. უკან მოხედვის არასდროს შემრცხვება. ამბობენ, ზოგის ცხოვრება მთელი წიგნია, ზოგის კი მხოლოდ სათაურიო. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრება სათაური არ არის, თუმცა ჯერ ცხოვრების წიგნიც არ დამიმთავრებია, ფურცელი არ ჩამიკეცავს*

- სოფელი „მაყვალა დირექტორის“ სახელით გიცნობთ. ეს აღიარებაა, რაც თავისით არ მოსულა...

- თუ საკუთარი თავის შეცნობა გინდა, მებრძოლის გზა უნდა აირჩიო. ყოველთვის ვცდილობ, პირად საქმეში თუ საკუთარ პროფესიაში, ვიყო მებრძოლი. ამ ბრძოლაში მქონდა წარმატებებიც, წარუმატებლობაც, მაგრამ გული საქმეზე არასდროს ამიცრუებია. უკან მოხედვის არასდროს შემრცხვება. ამბობენ, ზოგის ცხოვრება მთელი წიგნია, ზოგის კი მხოლოდ სათაურიო. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრება სათაური არ არის, თუმცა ჯერ ცხოვრების წიგნიც არ დამიმთავრებია, ფურცელი არ ჩამიკეცავს, კვლავ ვაგრძელებ საგანმანათლებლო ასპარეზზე მუშაობას. ჩემს ცოდნას და გამოცდილებას საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ვახმარ.

„ცხოვრების მეორე შანსს უაზროდ არ გავფლანგავდი“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი დღევანდელი ბლიცინტერვიუს გმირი ახალგაზრდა შემოქმედი ***მაქსიმე წულაია.*** *მისი პოეტური აზროვნება, სამყაროს ხედვა ყველა ლექსში, ყველა სტრიქონში იგრძნობა, თავად შემოქმედება კი მეტი სიყვარულისკენ, სიკეთისკენ, თანადგომისკენ მოგვიწოდებს. მაქსიმე წარმოშობით აფხაზეთიდანაა, თუმცა ომის შემდეგ დაიბადა.*

- ვინ ვარ და ვინ მინდოდა ვყოფილიყავი...

- ზუსტად ის ვარ, ვინც მინდოდა ვყოფილიყავი. წლები დამჭირდა, მაგრამ მივაღწიე.

- ბავშვობა არის...

- ყველაზე უდარდელი და ლაღი პერიოდი.

- ყველაზე მნიშვნელოვანია...

- ერთი ადამიანისთვის მნიშვნელოვანი მეორისთვის შეიძლება ყურადღების ღირსიც არ იყოს და, რა თქმა უნდა, პირიქითაც. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ვიყო მადლიერი ყველაფრით, რაც მაქვს.

- ყველაფერი დაიწყო აღქმით, რომ...

- ცხოვრების მეორე შანსს უაზროდ არ გავფლანგავდი.

- ცხოვრება ჰგავს...

- კიბეს, ზოგჯერ საფეხურჩატეხილს, ზოგჯერ - ჩუქურთმებიანი მოაჯირით.

- ბევრჯერ მიფიქრია...

- სულ ვფიქრობ, ხან რაზე და ხანაც - რაზე.

- ვნანობ...

- არაფერს, ყველაფერს პასუხი გავეცი, საქციელსაც და სიტყვებსაც. რაც მოხდა, ყველაფერი საჭირო იყო.

- დამსხვრეული სტერეოტიპები...

- არასოდეს მქონია.

- სამყაროს აღქმის ჩემეული ემოცია...

- დილით რომ იღვიძებ და აცნობიერებ - კიდევ ერთი დღე გაქვს.

- ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ...

- ჯვარი.

- სიყვარული რომ არ ყოფილიყო...

- არც ჩვენ ვიქნებოდით.

- ყველაზე დიდი იმედგაცრუება...

- არ მქონია არასოდეს.

- მუსიკა - ჩემს პოეზიაში...

- მუსიკა ჩემი ერთ-ერთი ჰობია. თითქმის ყველა ჟანრს ვუსმენ, მერე წერის სურვილიც მოდის.

- წიგნი, რომელშიც საცხოვრებლად გადავიდოდი...

- ბევრია ასეთი, მაგრამ ალბათ, მაინც პალანიკის „მებრძოლთა კლუბში“.

- არასდროს...

- დანებდე და არავის მისცე უფლება, დაგაჯეროს, რომ რაღაც არ შეგიძლია.

- ერთ დღესაც გათენდება და...

- ყველა კითხვაზე პასუხი მექნება.

- სევდას მგვრის...

- მათხოვრების დანახვა, გაწვდენილი ხელები... მათი თვალები ყველაზე სევდიანია.

- ჩემზე ამბობენ...

- ადრე ყურადღებას ვაქცევდი, ახლა არც ვიცი და არც მაინტერესებს. ჩემთვის მნიშვნელოვანი ხალხი ძალიან ცოტაა და მხოლოდ მათი აზრი მაინტერესებს.

- რა ფერი აქვს სიკეთეს?

- თეთრია, ჩემი აზრით.

- აფხაზეთი...

- მუდამ გულში - მოუნელებელ ტკივილად.

- დავიწყება რომ შემეძლოს...

- მიხარია, რომ არ შემიძლია, რაც იყო - იყო. წარსულში არ უნდა იცხოვრო, ზოგჯერ გახსენება აუცილებელია, რომ გააცნობიერო, სად იყავი და სად ხარ ახლა.

- ფობია...

- აღარ დამრჩა არაფრის.

- მენატრება...

- მამა.

- ბოლოს წავიკითხე...

- ედგარ პოს „ყორანი“.

- ვიმოგზაურებდი...

- იაპონიაში.

- ლექსების წერის პროცესი ჰგავს...

- სულის, გულისა და ფიქრების ერთობლიობას.

- მავსებს...

- ჩუმი სიკეთე.

- ამოჩემებული ფრაზა...

- ყველაფერი არის კარგად და ბევრად უკეთ იქნება!

- ცრემლებს ვერ ვიკავებ, როცა...

- საყვარელ ფილმებს ვუყურებ.

- საკუთარ თავში შევცვლიდი...

- არაფერს.

- ლექსი, რომელიც ყველაზე მეტად მგავს...

- ჩემივე „მაწანწალა“.

- შთაგონების წყარო...

- განვლილი წლები, ადამიანები, მოვლენები.

- საყვარელი მწერალი...

- ნოდარ დუმბაძე.

- დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

- როცა ავტოკატასტროფაში გადავრჩი.

- მწამს...

- ღმერთი და არაფერი სხვა ან რამე.

- ადამიანი ადამიანისთვის...

- გარდაუვალი აუცილებლობაა.

- ყველაზე დიდი ჯილდო...

- უყვარდე ისეთი, როგორიც ხარ.

- ქალი...

- ყველაზე ლამაზი ქმნილება, რაც კი ამქვეყნად არსებობს.

- ყოველთვის ერთნაირად აღმაფრთოვანებს...

- არაფერია ისეთი, რაც ამ გრძნობას იწვევს. უბრალოდ, ადამიანი, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, არ გაბოროტდა, არ დაიბოღმა და კიდევ შეუძლია სიკეთის კეთება - მახარებს. ასეთ ადამიანებს ძალიან ვაფასებ.

- თავისუფლება არის...

- არჩევანი, რომლის გამო ბევრი რაღაცის დათმობა გიწევს.

- გზავნილი სამყაროს...

- იყავით ისეთები, როგორიც გინდათ, რომ იყოთ, გააკეთეთ ყველაფერი ამისთვის.

- ჩემზე არავინ იცის, რომ...



- ჰარმონიკაზე ვუკრავ.

- მჯერა...

- ყველა ადამიანში, გულის სიღრმეში მაინც, რაღაც დოზით არის სიკეთე.

- მომავლის კადრი...

- მოხუცი მე, ჩემი მანქანით, ზღვისკენ მიმავალი.

- ახლა ყველაზე მეტად მინდა...

- არაფერი ისეთი, რაც შეუძლებელია.

- მას ვეტყვი, რომ...

- ბევრი რაღაც მაქვს სათქმელი. ვეტყოდი, რომ ოდესმე ვისაუბრებთ, სადაც არ უნდა ვიყოთ.

- ექსპრომტად...

- „სუნი მცემს მკვეთრი
თავისუფლების,
ცა ჩამოშლილი ეყრდნობა
კედლებს.
ფრთებს მონაბერი მძივად
ეხვევა,
ერთ რიგში აზრი ემსგავსა
ლექსებს“.

ქალი – იისფერი სამყაროდან

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ბათუმელი ქალბატონი დალი თედორაძე წარმატებული საბავშვო მწერალია. იგი საინტერესო ზღაპრებით არამარტო პატარებს, დიდებსაც ხიბლავს და მკითხველებს სიყვარულისა და სილამაზის უდიდეს მუხტს აზიარებს

ვის არ სურს ბავშვობაში დაბრუნება, როცა ჩვენი ოცნებებისა და ნატვრის რეალიზებას ზღაპრებში ვხედავდით? და ახლა, როცა ქალბატონ დალის მიერ შეთხზულ ზღაპრებს ვკითხულობთ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ზღაპარი არასოდეს მოკვდება, ამ სუპერტექნიკურ, ციფრულ ეპოქაშიც კი, რადგან ადამიანი და ოცნება განუყოფელია, ხოლო ზღაპარი ამის საუკეთესო განსახოვნებაა. გსურთ ბავშვობას დაუბრუნდეთ? წაიკითხეთ დალი თედორაძის წიგნები, მანამდე კი ამ ინტერვიუს გაეცანით, იმოგზაურეთ ნიჭიერი და საინტერესო ქალბატონის სამყაროში.

- ქალბატონო დალი, თქვენი შარშანდელი შემოქმედებითი მოსავლით კმაყოფილი ხართ?

- შარშანდელი და 2022 წელიც წარმატებული და ნაყოფიერი იყო. გამოიცა სამი საავტორო წიგნი: „როგორ გაჩნდნენ დევები“, „საახალწლო ზღაპრები“ და „ალქაჯების სამფლობელო“. სამივე ჩემი სულის ნაწილია და ისეთი სიხარულით შევხვდი, როგორც დედა - ახალშობილს, ათასჯერ ნაოცნებარს. იყო შიშიც: როგორ მიიღებს მკითხველი? შევძლებ მთავარი სათქმელის ისე გადმოცემას, რომ პატარებისთვის ადვილად გასაგები, მისაღები, სასიამოვნო და დასამახსოვრებელი იყოს? ვგონებ, გამიმართლა, შევძელი, რისი დასტური ის უამრავი შეხვედრაა, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, სხვადასხვა სივრცეში რომ ვმართავ, საიდანაც ბედნიერი და ახალი ენერგიით სავსე ვბრუნდები.

- თქვენი ახალი წიგნი წარუდგინეთ ჩვენს მკითხველს...

- „ალქაჯების სამფლობელო“ ერთი მთლიანი ზღაპარია ქვესათაურებით. მოქმედება ორ - არქაულ და თანამედროვე დროში ხდება, რაც უფრო მეტ მისტიკურობას სძენს მას. მთავარი გმირი - დატე, მეგობრებთან ერთად, შეუპოვრად გაივლის ძალიან რთულ, სიცოცხლისათვის საშიშ გზას. იმოგზაურებს მაქციებით სავსე გაქვავებულ ქალაქში, ზღვის ულამაზეს, მაგრამ დაუნდობელ სამყაროში, ყინულით მოლიპულ, მიუწვდომელ მწვერვალზე, ქვესკნელის ბნელ ლაბირინთებში, მრავლად შეხვდება კეთილ და ბოროტ არსებებს, ალქაჯებს, ალიგატორებს, თეთრ მედუზას - ვენერას ყვავილების კალათას, ჰოლოთურიებს, ზღვის პეგასს... ის ბრძოლას ერთი სიცოცხლის გადასარჩენად, ერთი უსამართლობის გამოსასწორებლად იწყებს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ სამყაროს თავისი კანონები აქვს (როგორც ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს), რომ ამ კანონის ძალა სადღაც, ხილულის მიღმაა, არამიწიერი და მისტიკური, რომელიც მაშინ ამოქმედდება, როცა გადარჩენისთვის ხელის წაკვრაა საჭირო. სწორედ ამ ხილულის მიღმა არსებული კანონების ამოქმედებით აღმოჩნდება მთავარი გმირი ბოროტებით სავსე გზის დასაწყისში, მაგრამ სამყარო მარტო არ ტოვებს. მისი ერთგული მეგობრების (მტრედი კასილა, თაგუნა პიო და ძაღლი ცუცა) გარდა, აქ მკითხველი შეხვდება კეთილ ჯადოქრებს, სამ დას, შავს - ასი წლისას, წითელს - ორასი წლისასას, თეთრს - სამასი წლისას, რომლებიც ჯადოსნურ სამყაროში ბედნიერად ცხოვრობენ და დახმარების ხელს უწვდიან დატეს. სიყვარულის და სიძულვილის, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის გარდა,

ერთ-ერთი მთავარი, რაც ზღაპარს ლაიტმოტივად გასდევს, მოზარდი თაობის მოტივაცია და შეგონებაა მშობლებისთვის, რაც თეთრი ჯადოქრის სიტყვებით მინდა გადმოგცეთ: „შეუძლებელი არაფერია, დატე, თუ ცრუ წარმოდგენებისგან განთავისუფლდები და დაიჯერებ, რა ძალა, ენერგია, შესაძლებლობა დევს შენში, თუ განთავისუფლდები იმ ბორკილებისგან, რომელიც საკუთარი შინაგანი საპატიმროს ტუსაღად გაქცევს. მე და ჩემს დებს ჯადოქრებს, გრძნეულებს გვეძახიან, თუმცა არ მიკვირს, რადგან ბავშვობიდან ჩააგონეს: არ შეიძლება! ეს წარმოუდგენელია! ვერ შეძლებ! ამ შეძახილებმა ადამიანები შეზღუდა, ჩარჩოში მოაქცია, ჩაკეტა. მე და ჩემმა დებმა ჩვენს ცნობიერებაში ვიპოვეთ ჯადოსნური გასაღები და დავამსხვრიეთ ბორკილები“. სწორედ, საკუთარი თავის რწმენამ და მეგობრების თანადგომამ შეაძლებინა მთავარ გმირს ერთი შეხედვით შეუძლებელი...

- როგორც აღნიშნეთ, ეს წიგნი მრავალი წლის ნაფიქრალისა და ფანტაზიის ხორცშესხმაა. წიგნს ილუსტრაციებიც ანიჭებს განსაკუთრებულობას. როგორ შეიქმნა იგი?

- დიახ, დიდხანს ვწერდი. ვგრძნობდი, ისეთი არ გამოდიოდა, როგორიც მინდოდა. ვჩერდებოდი და თავიდან ვიწყებდი. თითოეულ თავში ახალი სამყარო იშლება და ახალი პერსონაჟები ჩნდებიან. მინდოდა რაც შეიძლება ჯადოსნური, მაგრამ რეალურიც ყოფილიყო, საინტერესოც და დიდაქტიკურიც... მჯერა, ამ ზღაპრის კითხვისას ბავშვები იმოგზაურებენ უცნობ, მისტიკურ, ჯადოსნურ სამყაროში, საიდანაც ძლიერები და ბედნიერები გამოვლენ. ექნებათ მოტივაცია და რწმენა იმისა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ილუსტრაციები შექმნა ძალიან საინტერესო და განსხვავებული ხელწერის მხატვარმა ირმა სურმანიძემ. არასდროს ვერევი მხატვრის გემოვნებასა და ფანტაზიაში. გადავცემ ჩემს ნამუშევარს და დარწმუნებული ვარ, ის იმაზე მეტს შექმნის, ვიდრე მე წარმომიდგენია. მინდა აღვნიშნო, ამ მხრივ ძალიან გამიმართლა. პირველი ორი წიგნის მხატვარი - მირანდა გურგენაძე და ახლის - ირმა სურმანიძე საუკეთესო ილუსტრატორები და გემოვნებიანი მხატვრები არიან.

- როცა წიგნი იხილეს ნორჩმა მკითხველებმა, როგორი იყო მათი რეაქცია? ვინ იყვნენ ეს პატარები და სად შეხვდით მათ?

- პირველ რეაქციას იწვევს გარეკანი და ილუსტრაციები. ეს საბავშვო წიგნის დამახასიათებელი თვისებაა. ახლაც ვხედავ გაცისკროვნებულ, მოლოდინით სავსე თვალებს. ყველა შეხვედრა განსაკუთრებული და გამორჩეულია. არ იცი, რა შეკითხვა წამოვა ბავშვისგან და ეს ემოცია ხიბლს მატებს ღონისძიებას. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ კარგად იგებენ და გადმოსცემენ ბავშვები ნაწარმოების დედაზრს, იდეას (სკოლის ასაკს ვგულისხმობ), ადვილად იგებენ ქვეტექსტებს, ხსნიან სიმბოლიკებს, ახასიათებენ პერსონაჟებს, კარგად იციან გაპიროვნება, ალეგორიები და ასე შემდეგ. თავიანთი ფანტაზიით ქმნიან ნახატებს, მაკეტებს, დიორამებს, ძერწავენ პერსონაჟებს. ერთი სიტყვით, ეს ზეიმია, სადაც ბავშვები არიან მხატვრები, რეჟისორები, სცენარისტები, ავტორები, ზღაპრის გმირები. ისინი საოცრად გახსნილები და ლაღები არიან, რადგან, ვფიქრობ, არაფორმალურ გარემოში, სადაც სტანდარტები არაა დაწესებული, ბავშვი უფრო თავისუფალია, მეტი შესაძლებლობა აქვს თავის წარმოჩენის, აღმოჩენის, ბედნიერების ჰორმონის გამომუშავების. ასე ფიქრობენ პედაგოგებიც, სკოლის ხელმძღვანელებიც და ამიტომაც იმართება მსგავსი ტიპის შეხვედრები.

- თქვენი ზღაპრის - „როგორ გაჩნდნენ დევები“ სცენარით შექმნილ ანიმაციურ ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად. ელოდით ასეთ შედეგს?

- ეს იყო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის „ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერა“ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი. დავიწყეთ იქიდან, რომ პროექტის მიხედვით ამ ანიმაციის შექმნის მთავარი მიზანი სკოლის მოსწავლეების ჩართულობა იყო. მონაწილეობა მიიღო ჩვიდმეტი სკოლის ოცდაათამდე ბავშვმა. თავდაპირველად, მათ წაიკითხეს ზღაპარი და თითოეულმა დამოუკიდებლად შექმნა დეკორაციების, პერსონაჟების, პეიზაჟების ნახატები. ანიმატორმა გააცოცხლა ბავშვების ნახატები, შეიქმნა მუსიკა. აღსანიშნავია, რომ პერსონაჟებიც სკოლის მოსწავლეებმა გაახმოვანეს. ანიმაციის ჩვენებამდე, თეატრის ფოიეში მოეწყო ბავშვების ნახატების გამოფენა, მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგელებით. ეს იყო ენით აღუწერელი ზეიმი ბავშვების, მშობლებისა და, რა თქმა უნდა, ჩემთვისაც. ბედნიერი ვარ, რადგან დავინახე, როგორ გაცოცხლდნენ ჩემი ზღაპრის გმირები ეკრანზე. ახლა, სკოლებში შეხვედრების დროს, წიგნის წარდგინებასთან ერთად, ბავშვებს ვაჩვენებთ ანიმაციას, ვმსჯელობთ იმ განსხვავებაზე, რაც თავიანთი წარმოსახვით შექმნეს და რაც ეკრანზე იხილეს.

- ყველაზე გულწრფელი შემფასებლები პატარები არიან... მოგვითხრეთ მუზეუმში ბაღების აღსაზრდელებთან შეხვედრაზე.

- მათთან შეხვედრა საოცარ მუხტს და ენერგიას გაძლევს. გრძნობ, როგორ გათვალიერებენ, აღგიქვამენ. ჯერ მოკრძალება და რიდია, შემდეგ იხსნებიან. უნდათ, რაც შეიძლება ბევრი კითხვა დასვან. აინტერესებთ, საიდან მოდიხარ, როდის დაიწყე წერა, შემდეგ ისე არჩევენ ზღაპრებს, რომ მეც იმაზე მეტს ვხედავ, ვიდრე დავწერე. ეს უბედნიერესი წუთებია. იმაზე დიდი სიამოვნებაა, ვიდრე ახალი ნაწარმოების შექმნა, რომელშიც მთელი სული და გული ჩადე.

- ხშირად იბეჭდებით ჟურნალ „ჭოროხში“. ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება?

- დიახ, ხშირად იბეჭდება ჩემი ზღაპრები და მოთხრობები ჟურნალში, რაც ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს, მიმაღლდება თვითშეფასება. ეს შემოქმედისთვის აუცილებელია. მადლობა მინდა ვუთხრა ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქციას და უახლოეს პერიოდში მივაწოდებ ახალ ზღაპრებს.

- როგორ რეაგირებს თქვენს შემოქმედებით აქტიურობაზე საზოგადოება?

- ჩემი პირველი წიგნი, საბავშვო ლექსების კრებული „განდაგანა“, 2004 წელს გამოსცა აჭარის მწერალთა სახლმა. იბეჭდებოდა გაზეთებში, ჟურნალში. ვწერდი პიესებს, სცენარებს და ლიბრეტოს სპექტაკლისთვის, მაგრამ ახლა, ამ მოკლე პერიოდში ამდენი წიგნის გამოცემა, გაზეთი, რადიო, ტელევიზია, უამრავი შეხვედრა, წარდგინება მოულოდნელი იყო. უფრო სხვა კუთხით დამინახეს... უბედნიერესი ვარ, რომ საზოგადოების რეაგირება ძალიან დადებითია. მოსწონთ ჩემი ზღაპრები, ჩემთან შეხვედრები, ეს კი საოცარი შეგრძნებაა.

- როცა განვლილ გზას გასცქერით...

- განვლილ გზაზე უამრავი ფერი ციმციმებს, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ყველა მუქ ფერს ნათელი ცვლის. ბევრი იმედგაცრუება და გულისტკივილი ყოფილა და იქნება კიდევ, მაგრამ ცხოვრებაც ხომ ესაა - მუდმივი ბრძოლა. თუკი ცდილობ, არავინ დაადანაშაულო, არ დაავალდებულო, აკეთო შენი წილი გასაკეთებელი, ცხოვრების გზის გავლა გაცილებით ადვილია. შეიძლება ბევრი მიფიქრია და მიოცნებია იმაზე, რაც დღეს ჩემს ცხოვრებაში ხდება, მაგრამ მაინც ზღაპარში მგონია თავი.

- როგორ გესახებათ მომავალი - თქვენი, ქვეყნის, საერთოდ, ლიტერატურის და გამორჩევით, საბავშვო ლიტერატურის, ციფრულ რეალობაში რა პარამეტრებს გვიკარნახებს?

- არსებობს ტრადიციული საკომუნიკაციო უნარები: წერის, კითხვის, მეტყველების, მაგრამ თანამედროვე სამყაროში აუცილებელია ციფრული კომუნიკაცია. სოციალური ქსელებით ვიღებთ ზღვა ინფორმაციას. ციფრული რეალობა გაძლევს საშუალებას, სათანადოდ წარადგინო საკუთარი თავი, იდეები, გამოთქვა მოსაზრება, შესთავაზო სხვას საკუთარი პროდუქტი და სხვა. ერთი სიტყვით, ციფრულ სამყაროში ჩვენ ვართ რეჟისორები, სცენარისტები, ინჟინრები. ვფიქრობ, ამ ციფრულ რეალობაში, უცხოურ ვებგვერდებზე რომ მოვახერხო ჩემი ზღაპრების გატანა, აუცილებლად მექნება შემოთავაზებები ანიმატორებისა და ანიმეს შემქმნელებისგან... არაფერი ქმნის ნაწარმოებს ისეთ პოპულარულს, როგორც ეკრანი.

- რატომ არ კვდება ზღაპარი ამ სუპერტექნიკურ საუკუნეში?

- ზღაპარი არის უნიკალური საშუალება, ძალიან ხატოვნად, უსაზღვრო ფანტაზიით მოყვე ამბავს, ჭირდება, მაგრამ ქართულ რეალობაში ესაა „ნაცარქექია“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „წიქარა“, „სალამურა“, უცხოურში - „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „წითელქუდა“, „სამი გოჭი“, „მეფე ლომი“, „ალადინი“...

- სასწაული რომ მოხდეს და ქუჩაში ანდერსენს შეხვდეთ, რას ჰკითხავდით?

- პირველ რიგში, მადლობას გადავუხდიდი ჩემი ბავშვობის გალამაზებისა და ჯადოსნურ სამყაროში მეგზურობისთვის. ერთხელ ჟურნალში წავიკითხე, თითქოს ანდერსენი მთელი ცხოვრება იბრძოდა იმისთვის, რომ ისტორიაში საბავშვო მწერლად არ დარჩენილიყო. რატომღაც გულში ჩამრჩა მისი ეს უცნაური სურვილი. ვკითხავდი: თავიდან რომ დაბადებულიყო, ისევ შეგვიქმნიდა ამ საოცარ სამყაროს თუ სხვა ჟანრს აირჩევდა?

- როგორ ფიქრობთ, ქართული ზღაპარი სხვა ქვეყნების ზღაპრების ფონზე რა ნიშნით გამოირჩევა?

- გულწრფელად რომ გითხრათ, განსაკუთრებულ ნიშნებს ვერ ვხედავ. ყველა ქვეყნის ზღაპარში ჩანს მათთვის დამახასიათებელი ქცევის წესები, ტრადიციები, ჩაცმის თუ მეტყველების სტილი, განვითარების დონე.

- ზღაპარი, რომელსაც ახლა წერთ, გვამოგზაურებს ჯადოსნურ სამყაროში?

- ვფიქრობ - კი. ამ წიგნში ვიმოგზაურებთ ზღვებისა და ოკეანეების საოცარ, მისტიკურ, უცნობ სამყაროში, რომლის სიღრმეებში უამრავი საიდუმლო იმალება. ვიმოგზაურებთ რიფებსა და ულამაზეს მარჯნის კუნძულებზე. აქ ვნახავთ გიგანტურ ურჩხულებს, ზღვის ეშმაკებს, დაკარგულ ქალაქებს, ციხე-კოშკებს, სადაც ბოროტ ჯადოქართან ერთად, ზღვის ანგელოზები, საოცარი ყვითელი ციყვები, სხვა უამრავი დადებითი და უარყოფითი არსება ცხოვრობს. მთავარი გმირი, კეთილი პერსონაჟების დახმარებით, ამარცხებს ჯადოქარს, რომელსაც მარჯნების მოსპობით ზღვის სამყაროს განადგურება უნდა... და მთავარი სათქმელი (როგორც ზღაპარს ჩვევია) - შეფარვით, მაგრამ მაკაფიოდ ხაზს ვუსვამ ეკოლოგიურ საკითხებს.

> ***„განვლილ გზაზე უამრავი ფერი ციმციმებს, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ყველა მუქ ფერს ნათელი ცვლის. ბევრი იმედგაცრუება და გულისტკივილი ყოფილა და იქნება კიდევ, მაგრამ ცხოვრებაც ხომ ესაა - მუდმივი ბრძოლა. თუკი ცდილობ, არავინ დაადანაშაულო, არ დაავალდებულო, აკეთო შენი წილი გასაკეთებელი, ცხოვრების გზის გავლა გაცილებით ადვილია. შეიძლება ბევრი მიფიქრია და მიოცნებია იმაზე, რაც დღეს ჩემს ცხოვრებაში ხდება, მაგრამ მაინც ზღაპარში მგონია თავი***

1937-1938 წლებში რეპრესირებული ქალები - აჭარიდან

თამარ ერმილეს ასული ებრალიძე, 1910 წელს ლანჩხუთის რაიონში დაბადებული, სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ სამუშაოდ აჭარაში ჩამოვიდა. დაპატიმრებისას ქობულეთის რაიონის ოჩხამურის სახელმწიფო (საბჭოთა) მეურნეობის ბავშვთა ბაღის ექიმად მუშაობდა. კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელთა ცნობით, თამარ ებრალიძის ცუდი მუშაობის შედეგად ბავშვთა ბაღში სისტემატურად იღუპებოდნენ ბავშვები. აჭარის შინსახკომის მიერ შეთითხნილი ბრალდებით, თამარ ებრალიძე იყო კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და კაპიტალიზმის აღდგენის პროპაგანდას ეწეოდა, აგრეთვე - ყოველგვარ ორგანიზებულ ქმედებას დანაშაულის მომზადებისა და განხორციელებისათვის (სისხლის სამართლის კოდექსს 58-10, 58-11 მუხლები).

თამარ ებრალიძეს მავნებლად თვლიდნენ იმის გამოც, რომ მისი მამა, ერმილე ებრალიძე, 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ საზღვარგარეთ (ევროპა) გადაიხვეწა. ამ ბრალდებებით თამარ ებრალიძე 1938 წლის 10 ოქტომბერს დააპატიმრეს და წამების შემდეგ დახვრიტეს. ამავე ბრალდებით დააპატიმრეს თამარის დედა ფატი ჟღენტი, რომელსაც 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იგი სასჯელს იხდიდა არხანგელსკის ოლქში. გადასახლებიდან დაბრუნდა 1947 წელს, მაგრამ დაგლახებული, ყოველგვარ სამოქალაქო უფლებებს მოკლებული და დამცირებული. ამჟამად თამარ ებრალიძე და მისი დედა ფატი ჟღენტი რეაბილიტირებულნი არიან.

1937 წელს დახვრიტეს ოლღა სტეფანეს ასული კეკეჯანი. მას ბრალად დასდეს ტროტროისტული აქტის მომზადებაში მონაწილეობა, ანტისაბჭოთა პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით, ყველა ამ დანაშაულის ორგანიზების მცდელობა, რაც გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-10, 58-11 მუხლებით.

მირა ვალერიანის ასული პოპოვა, ეროვნებით რუსი, დაბადებულია ქ. ბათუმში 1884 წელს, მუშაობდა ერთ-ერთ სამშენებლო ორგანიზაციაში. სამსახურში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამო შინსახკომის ჯალათებმა მავნებლად შერაცხეს და მაშინდელი სისხლის სამართლის კოდექსის 8-103 მუხლის საფუძველზე 1937 წელს დახვრიტეს. ამჟამად ოლღა სტეფანეს ასული კეკეჯანი და მირა ვალერიანის ასული მანჯგალაძე (პოპოვა) რეაბილიტირებულნი არიან ბრალდებების დაუმტკიცებლობის გამო.

1938 წლის მარტში დახვრიტეს ბათუმელი ქალბატონი, ეროვნებით რუსი ელენე მიხეილის ასული რალცევა. იგი დაბადებულია რუსეთის ფედერაციის ასტრახანის გუბერნიაში 1868 წელს. შემდეგ საცხოვრებლად ქ. ბათუმში გადმოვიდა. ელენე რალცევას ბრალად ედებოდა დანაშაულის განუცხადებლობა (სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 მუხლი).

ანტისაბჭოთა პროპაგანდის ბრალდებით (სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლი), 1938 წლის ოქტომბერში დახვრიტეს არტემიდა ილიას ასული სიმონოვა. იგი დაბადებულია თურქეთში 1867 წელს, შემდეგ კი საცხოვრებლად ბათუმში გადმოვიდა.

ოლღა კარლოს ასული შტამი 1879 წელს დაიბადა რუსეთის ფედერაციის სარატოვის გუბერნიაში. დაპატიმრებისას იგი ბათუმში ცხოვრობდა. ოლღა შტამს წაუყენეს ბრალდება, თითქოს ეწეოდა პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით. ამ შეთითხნილი ბრალდებით საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით დახვრიტეს. ამავე ბრალდებით 1937 წელს დახვრიტეს ფაცია გიორგის ასული ჭყონია და მარია დავითის ასული ფაინშტეინი.

წამების შედეგად თბილისის ციხეში დაიღუპნენ სარიე მევლუდის ასული ჯიხაშვილი და აიშე ხალილის ასული ჩავლეიშვილი. სარიე ჯიხაშვილი დაიბადა ბათუმში 1897 წელს, ეროვნებით აფხაზი გახლდათ, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ნესტორ ლაკობას მეუღლე. ქმრის დაპატიმრების შემდეგ, 1937 წელს, სარიე ჯიხაშვილიც შეიპყრეს და თბილისის საპატიმროში ჩასვეს. შინსახკომის მუშაკებმა არაერთხელ

დაჰკითხეს. მისგან მოითხოვდნენ მავნებლად შერაცხული ქმრის - ნესტორ ლაკობას მიმართ წაყენებული ბრალდების დადასტურებას, დამატებითი ცნობების მიწოდებას ამის თაობაზე. ცხადია, სარიე ჯიხაშვილს არ შეეძლო იმის დადასტურება, რაც სინამდვილეში არ ყოფილა. შინსახკომის ჯალათების მიერ წამება იმდენად აუტანელი იყო, რომ სარიე ჯიხაშვილმა ვერ გაუძლო და გარდაიცვალა.

ასეთივე ბედი ეწია აიშე ხალილის ასულ ჩავლეიშვილს. იგი გახლდათ მოედინ სურმანიძის ძმის - ახმედის ცოლი. ძმები მოედინი და ახმედი 1937 წელს დახვრიტეს ფალსიფიცირებული ბრალდებით. შინსახკომელებმა აიშე ჩავლეიშვილი 1937 წელს დააპატიმრეს და თბილისის ციხეში გამოკეტეს. ჯალათები მისგანაც მოითხოვდნენ ქმრის - ახმედ სურმანიძის შესახებ ცნობების მიწოდებას წაყენებული ბრალდების დადასტურებისათვის. გლეხის ქალი აიშე სურმანიძე იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, რომ დიდხანს აიტანა უსასტიკესი წამება, მაგრამ ბოლოს მაინც გარდაიცვალა. ამჟამად, ეს ქალბატონები რეაბილიტირებულნი არიან ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.

ამალია იოსების ასული მშვიდობაძე ბათუმში 1903 წელს დაიბადა. დაპატიმრებისას გორის „საქმშენის“ კანტორის ბუღალტრად მუშაობდა. იგი 1937 წლის ნოემბერში დააპატიმრეს ბრალდებით: 1919-1924 წლებში იყო ახალგაზრდა მარქსისტთა მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, 1924-1927 წლებში - მენშევიკების ცნობილი ლიდერის ნოე ხომერიკის სპეციალური კურიერი. ამ ბრალდების გამო ამალია მშვიდობაძემ 9 წელი გადასახლებაში გაატარა. შინსახკომის მუშაკების ცნობით, გათავისუფლების შემდეგ კვლავ დაამყარა კავშირი ახალგაზრდა მარქსისტთა არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტთან. საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომაზე, რომელიც 1937 წლის 10 დეკემბერს გაიმართა, ამალია მშვიდობაძის ბრალეულობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამავე ორგანოს აჭარის ორგანიზაციის ოპერატიული მუშაკი თევზაძე. სამეულის დადგენილების საფუძველზე, ამალია იოსების ასული მშვიდობაძე დახვრიტეს (აკ..., 2017:136).

საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით, დახვრიტეს ბათუმელი ჟურნალისტი ნინო დიმიტრის ასული ბედია. დაპატიმრების დროს იგი თბილისში ცხოვრობდა. შინსახკომის ჯალათებმა ნინო ბედია მავნებლად შერაცხეს, თითქოს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის პროპაგანდას ეწეოდა, აგრეთვე, „მიმართავდა ყოველგვარ ორგანიზებულ ქმედებას დანაშაულის მომზადებისა და განხორციელებისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 58-10, 58-11 მუხლები)“.

1937-1938 წლებში აჭარაში კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის ფალსიფიცირებული ბრალდებით დახვრეტილია 17 მანდილოსანი. მართალია, დახვრეტილი ქალების სია სრულყოფილი არ არის, მაგრამ მოყვანილი მასალები ადასტურებს საბჭოთა რეჟიმის, რეპრესიების ლიდერების, ორგანიზატორებისა და დამსჯელი სამხედროების არაადამიანურობას, ველურობას. მანდილოსნების დახვრეტების გარდა, თითქმის მასობრივი იყო მათი წამება, ტანჯვა, შეურაცხყოფა, დამცირება, საპატიმროებში გამოკეტვა, გაუსაძლის პირობებში გადასახლება და ტრანსპორტით გადაყვანა რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის უკაცრიელ მხარეებში, საპატიმროებსა და შრომა-გასწორების ბანაკებში (ქალთა კოლონიები) წლობით წვალება. მძიმე იყო, აგრეთვე, სასჯელის მოხდის შემდეგ მათი უუფლებობა, მშობლიურ კუთხეში ცხოვრების აკრძალვა, ზოგიერთი მათგანის უვადოდ, ხელმეორედ გასახლება რუსეთის ფედერაციის უკაცრიელ მხარეებში. ამ უბედურებას ათობით ქალის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეეწირა. ამის უტყუარი მტკიცებულებაა გადასახლებული ქალების წამების, ტანჯვა-წვალების ისტორიები.

მუხტერ დურსუნის ასული ბოლქვაძე აჭარელ ქალთა შორის ერთ-ერთი პირველი კომუნისტი იყო. იგი ხულოს რაიონის სოფელ განახლებაში 1904 წელს დაიბადა. კომუნისტური პარტიის წევრად 1931 წელს მიიღეს. მუხტერ ბოლქვაძე მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდა ხულოს რაიონში ქალების კარჩაკეტილობის დაძლევის, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის. საზოგადოებრივ სფეროში აქტიურობის გამო საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის ინსტრუქტორად დააწინაურეს. 1937 წელს, აგვისტოში, როცა სულეიმან ბეჟანიძე და ნური გამრეკელიძე დააპატიმრეს, იგი ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. აქედან ხულოს ცენტრალური მაღაზიის დირექტორად გადაიყვანეს. ამ თანამდებობაზე მცირე დრო დაჰყო. 1937 წლის სექტემბერში კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის ყალბი ბრალდებით დააპატიმრეს, აწამეს, შემდეგ კი გადაასახლეს რუსეთის ფედერაციის უკაცრიელ მხარეში. სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ კუთხეში, გარდაიცვალა 1964 წელს, 60 წლის ასაკში.

15 წელი გაატარა გადასახლებასა და გასახლებაში აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ზექერია ლორთქიფანიძის ცოლმა ესმა ოსმანის ასულმა დავითაძემ. ქმარი ფალსიფიცირებული ბრალდებით, 1937 წლის 29 სექტემბერს დახვრიტეს. შემდეგ დააპატიმრეს ესმა დავითაძეც, რომელსაც ბრალად დასდეს ქმრის ტროცკისტულ-კონტრრევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობა, განუცხადებლობა ზექერია ლორთქიფანიძის „ანტისაბჭოთა“ მუშაობის შესახებ. ამ ყალბი ბრალდებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, გადაასახლეს რუსეთის ფედერაციის უკაცრიელ მხარეში, სადაც უმძიმეს, არაადამიანურ პირობებში 10 წელი გაატარა.

ესმა დავითაძე 1947 წელს, სასჯელის მოხდის შემდეგ, დაბრუნდა გადასახლებიდან,

მაგრამ იმდენად ნაწვალები და ნაწამები იყო, რომ ადამიანის სახე დაკარგული ჰქონდა. ორი წლის შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად გაასახლეს რუსეთის ფედერაციის იმავე უკაცრიელ მხარეში, სადაც 5 წელი დაჰყო. ამ გასახლების მოტივაცია ის გახდა, რომ ესმა დავითაძე, და სხვა ანალოგიურად სასჯელმოხდილი ადამიანები, შინსახკომის ჯალათების მიერ სახელმწიფოსათვის საფრთხედ მოიაზრებოდნენ. საბჭოთა კავშირში პოლიტიკური კლიმატის შეცვლის შემდეგ მათი რეაბილიტაცია მოხდა. საბჭოთა კავშირის პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს 1954 წლის 29 ივნისის დადგენილებით, ესმა ოსმანის ასული დავითაძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. საქმე წარმოებით შეწყდა.

მშობლების რეპრესირების შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მათი შვილები - 12 წლის ლევანი და 10 წლის დურსუნი. ისინი უპატრონოდ და უსახლკაროდ დარჩნენ. მშობლიურ სოფელში მამიდის ოჯახს შეაფარეს თავი, რომელიც ადრე გარდაიცვალა და ამ ოჯახშიც არანორმალური ცხოვრების პირობები შეექმნათ. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც კარდაკარ დადიოდნენ ღამის გასათევად და ლუკმაპურის საშოვნელად. მძიმე ბავშვობისა და ჭაბუკობის წლებმა შეარყია მათი ჯანმრთელობა. ლევანი 50 წლის ასაკში (1975 წ.) გარდაიცვალა, ხოლო დურსუნი - 1978 წელს (51 წლის). მათი შთამომავლები დღესაც განიცდიან ტრაგიკული ოცდაჩვიდმეტის მოვლენებს.

მსგავსი ბედი ერგო პროფესიული კავშირების აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე რიზა ხოზრევანიძის მეუღლე ზერიფე ილიასის ასულ ჯორბენაძეს. იგი ხულოს რაიონის სოფელ ქედლებში 1890 წელს დაიბადა. ზერიფე ხოზრევანიძეს საოჯახო განათლება ჰქონდა. იგი დიასახლისი გახლდათ. მისი გადმოცემით, რიზა ხოზრევანიძე 1937 წლის ივლისში დააპატიმრეს, ხოლო თავად - ამავე წლის ოქტომბერში. ზერიფე ჯორბენაძეს, იმის გამო, რომ არ ამხილა ქმარი კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობაში, მის თანამონაწილედ თვლიდნენ.

ოთარ თურმანიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „აჭარა“ №№4, 5.

საბა მიქელაძემ ბათუმელ მსმენელს ზეიმი მოუწყო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ჩვენმა თანაქალაქელმა, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მეორეკურსელმა, უნიჭიერესმა საბა მიქელაძემ კლასიკური მუსიკის ბათუმელი მოყვარულები ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში ორგანყოფილებიან კონცერტზე მიიწვია. საბამ აღნიშნული სკოლა დაამთავრა და ეს არ იყო აქ მისი პირველი გამოსვლა

საღამო პედაგოგ რუსუდან კვახაძეს მიჰყავდა. მან დარბაზს საბა მიქელაძის წარმატებები შეახსენა. იგი არაერთი საერთაშორისო, რესპუბლიკური და რეგიონალური კონკურსის გრან პრის, პირველი ადგილების, ლაურეატის წოდების მფლობელია. რამდენიმე ხნის წინ წარმატებით გამოვიდა ერევანში არნო ბაბაჯანიანის საერთაშორისო კონკურსზე, სადაც გრან პრი დაიმსახურა.

ბათუმურ კონცერტზე საბა იუბილარი იყო, იგი 21 წლის გახდა და ამ გამოსვლით, შეიძლება ითქვას, საჩუქარი არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ჩვენც მოგვიძღვნა.

საბას წარმატებებში ლომის წილი მიუძღვის საქართველოს დამსახურებულ პედაგოგ ინგა ბოცვაძეს. ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი სწორედ მის სახელს უკავშირდება. რა თქმა უნდა, მადლიერებით მოიხსენიეს მისი ამჟამინდელი პედაგოგი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი ლალი სანიკიძე. არც მშობლების - ამირან მიქელაძისა და თამარ დიასამიძის ღვაწლი დარჩენილა აღუნიშნავი. საბამ ამ ბოლო დროს სატელევიზიო სივრცეც დაიპყრო, თუმცა არა როგორც პიანისტმა, არამედ როგორც მომღერალმა - მან სატელევიზიო შოუში „მაჩვენე შენი ხმა“ გაიმარჯვა.

კონცერტზე მან ბახის, ალექსანდრ იოჰელესის, ბეთჰოვენის, შუმანის ნაწარმოებები დაუკრა.

- საბა ჩვენი სკოლის აღზრდილია, რითაც ვამაყობთ. ის ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდა როგორც პიანისტი, მაგრამ დღეს ჩვენ წინაშე წარსდგა ნამდვილი მუსიკოსი ფილოსოფიური მიდგომებით, მუსიკალური გააზრებებით. ეს ძალიან სასიამოვნო მომენტი იყო... მან კიდევ ერთხელ გაგვაოცა საკუთარი სიღრმეებით. გვჯერა, რომ სულ მალე მისი სახით ერთ-ერთი გამორჩეული, ძალიან განსხვავებული ხელწერის, დიდი პიანისტი-შემსრულებელი გვეყოლება. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუხდი ღირსეულ პედაგოგ ინგა ბოცვაძეს, რომელმაც საუკეთესო საძირკველი ჩაუყარა საბას შემოქმედებას, მადლობა ასევე მის ახლანდელ პედაგოგ ლალი სანიკიძეს, რომელიც თავდაუზოგავად შრომობს, რომ საბამ უფრო დიდ წარმატებას მიაღწიოს. ძალიან გაგვიხარდება, თუ საბა მიქელაძის დაბადების დღეს ჩვენთან კონცერტის ჩატარება ტრადიციად დამკვიდრდება, იგი ჩვენგან დიდ სიყვარულს და გულშემატკივრობას იმსახურებს, - გვითხრა სამუსიკო სკოლის დირექტორმა ნინო ჩაიძემ.

- ეს საღამო ზეიმი იყო, თავად საბა მიქელაძეა ზეიმი, რადგან ის ყველა მიმართულებით ნიჭიერი და გამორჩეულია. დღეს მოვისმინეთ მაღალ დონეზე შესრულებული პროგრამა. დიდი ოსტატობის მქონე პიანისტი-შემსრულებელია. ვულოცავ მას, მშობლებს, პედაგოგებს და ბედნიერი ვარ, რომ მყავს უნიჭიერესი უმცროსი მეგობარი, რომელსაც უკვე დიდი მუსიკოსი საბა მიქელაძე ჰქვია, - აღნიშნა მუსიკოსმა ქეთევან მანელიშვილმა.

- აჭარას ახლა ორი წარმატებული მიქელაძე ჰყავს - საბა და ბაჩი. დღეს საბას დღეა. ის გამორჩეული, მრავალმხრივ ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელსაც ბევრი რამ ხელეწიფება და ყველაფერში წარმატებას აღწევს. შეუძლებელია, უსმინო მას - სიმღერა იქნება თუ დაკვრა, მოისმინო მის მიერ შექმნილი ნაწარმოები და არ მოიხიბლო. ეს არის ადამიანი-დღესასწაული, რომელიც ჯერ მხოლოდ 21 წლისაა, - გვითხრა რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორმა ნატო ორაგველიძემ.

საბა მიქელაძე იმ დღეს შეუდარებელი იყო. მისი სახით განსაკუთრებული ნიჭითა და მაღალი მუსიკალური გემოვნებით დაჯილდოებული მუსიკოსი გვყავს, რომელიც თავის სიტყვას ძალიან ხმამაღლა იტყვის და გამორჩეულ კვალს დაჩენს ჩვენს კულტურას. საბა აუცილებლად დაიპყრობს მსოფლიოს დიდ სცენებს და ეს დღე შორს არ არის.

- ბათუმში პირველად არ გამოვდივარ, თუმცა ყოველი გამოსვლა ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობა და ისეთი განსაკუთრებული შეგრძნებაა, რომელსაც სიტყვით ვერ გადმოვცემ, - გვითხრა საბა მიქელაძემ და დასძინა, რომ

მარტში ესპანეთში მარია კალასის ოთხტურიან კონკურსზეა მიწვეული, რისთვისაც უკვე ემზადება.

წარმატება ვუსურვოთ ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედს!

საუკეთესო მოჭიდავედ დაასახელეს...

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ხულოს სასპორტო სკოლის აღზრდილი ლერი აბულაძე შარშან, საქართველოს ეროვნული ნაკრების სახელით, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მონაწილეობდა. მან შეძლო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. მსოფლიოს გაერთიანებულმა ჭიდაობის ფედერაციამ იგი ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 2023 წლის საუკეთესო მოჭიდავედ აღიარა, დააჯილდოვა სპეციალური პრიზით და ფულადი პრემიით.

- ლერი აბულაძე ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ევროპის 2023 წლის საუკეთესო მოჭიდავედ დასახელდა. ვულოცავ ჩვენს საამაყო სპორტსმენს საერთაშორისო ასპარეზზე ამ დიდ აღიარებას და წარმატებებს ვუსურვებ მომავალში, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ.

ჯემალ სურმანიძემ სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილე ჯემალ სურმანიძემ ბათუმის №№8 და 27 საჯარო სკოლების სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაო მოინახულა. ინფორმაციას სამინისტროს ადმინისტრაცია ავრცელებს.

უწყების ცნობით, ბათუმის №8 საჯარო სკოლაში დასრულდა იატაკების სრული რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში მოიხსნა დაზიანებული საფარი და მაღალი ხარისხის ლამინირებული პარკეტი დაეგო. ბათუმის №27 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სპორტდარბაზის სრული რეაბილიტაცია. ასევე, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა საპირფარეშოებს. საპირფარეშოების სრული რეაბილიტაცია განხორციელდა ბათუმის შემდეგ საჯარო სკოლებში: №№9, 10, 11, 13, 22, 26 და 29.

„საქართველოს სჭირდება კოალიციური მმართველობა“

მე-3 გვერდიდან

- ლიდერი, რომელიც არ არის დამოუკიდებელი, რთულია დაიჯერო, რომ შექმნის მესამე ცენტრს. ჩემი აზრით, ქალბატონმა პრეზიდენტმა ჯერ უნდა მოიპოვოს საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ნდობა, შემდეგ კი გადავიდეს მოქმედებებზე... შესაბამისად, ვეთანხმები ექსპერტ ვახტანგ ძაბირაძეს და ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის მხრიდან მოქმედებების დროა.

- თქვენმა პარტიამ „ნაცმოძრაობასთან“ შექმნა პლატფორმა, რა გახდა ამის მიზეზი?

- გაერთიანების მიზეზი გახდა 2024 წლის არჩევნების განსაკუთრებული მნიშვნელობა, წინა წლების მოვლენები და გაზრდილი რუსული გარემო ქვეყანაში, რაც, ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ჩვენი ქვეყნის, მცოცავ ოკუპაციასთან ერთად. პარტიამ გადაწყვიტა, რომ ახლა პირადი ამბიციების გვერდზე გადადების დროა და მნიშვნელოვანია გაერთიანება, ერთიანი ძალებით გამარჯვების მოპოვება.

- ოპოზიციის გარკვეული ნაწილი (მაგალითად, „ლეიბორისტული პარტია“) აცხადებს, რომ ზემოხსენებულ პლატფორმაში „სტრატეგია აღმაშენებლის“ გაერთიანების მიზანი საარჩევნო ბარიერის გადალახვაა. თქვენი აზრი ამის თაობაზე...

- მინდა გავიხსენო, რომ 2020 წლის გაყალბებული არჩევნების შედეგებით და იმ შედეგებიდან გამომდინარეც, „სტრატეგია აღმაშენებელმა“ შეძლო 4 დეპუტატის გაყვანა. მინდა შევახსენო პოლიტიკოსებს, თუ როგორი თბილი დამოკიდებულება აქვთ, ასევე, მოქალაქეებს ჩვენი ლიდერისა და პარტიის მიმართ. ამდენად, ვფიქრობთ, მაინც მოვახერხებდით ბარიერის გადალახვას, მაგრამ წელს ბარიერზე მეტად მნიშვნელოვანია გამარჯვება და სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა გამარჯვების პლატფორმა. 2020 წელს ჩვენი პარტია მესამე ადგილზე იყო გაყალბებული ხმებითაც კი, ასე რომ, ჩვენ აჭარის რეგიონში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ვაპირებთ აუცილებლად გამარჯვებას.

- საარჩევნო მარათონი არაოფიციალურად მიმდინარეობს, პარტიები შეხვედრებს მართავენ. თქვენი პლატფორმა რას სთავაზობს ამომრჩეველს ქვეყნის განვითარების კუთხით?

- „სტრატეგია აღმაშენებელი“, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, არის საზოგადოების გამაერთიანებელ შენებაზე ორიენტირებული ძალა. ჩვენ მოსახლეობას ვთავაზობთ განვითარებას ყველა მიმართულებით. რა თქმა უნდა, ქვეყანაში დასრულდება სიძულვილის ენა, ტროლებისა და ბოტების პერიოდი, სამაგიეროდ გვექნება დემოკრატია და წინსვლა.

- რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე, რას ფიქრობთ ნიკა გვარამიას და ნიკა მელიას პარტიების დაარსების შანსებზე?

- ვფიქრობ, ნიკა გვარამია და ნიკა მელიაც თავისი გუნდით არიან ძლიერი ლიდერები, პოლიტიკოსები და მათი პარტიების ჩამოყალიბებას და 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო ნიკა გვარამიას გუნდის ხილვაა. ორივე მხარეს ვუსურვებ წარმატებას და წინსვლას, რადგან ჩვენ ყველას გვჭირდება წელს გამარჯვება.

- ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ოპოზიცია, ძირითადად, არა გამარჯვებისთვის, არამედ მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსის მოპოვებისთვის იბრძვის...

- ჩემი აზრით, როცა ხელისუფლებაში 12 წელი ერთი პარტია გყავს, მნიშვნელობა არ აქვს, ოპოზიციაში ვის აქვს მთავარის სტატუსი, მთავარია თანამშრომლობა და ჯანსაღი კონკურენცია, რადგან პრიორიტეტი არის ჩვენი ქვეყანა და არაფერი სხვა.

- მმართველი პარტია მეთორმეტე წელია, ხელისუფლებაშია. შეძლებს იგი მეოთხედაც მოგვევლინოს მმართველ ძალად?

- საზოგადოება კარგად ხედავს, თუ როგორი მმართველობაა ქვეყანაში და როგორი პოლიტიკური დღის წესრიგია. ამის მაგალითია სამთავრობო ცვლილებები... წელს აუცილებელია ხელისუფლების ცვლილება და საქართველოს სჭირდება კოალიციური მმართველობა.

- რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მთავრობის შექმნა და ითანამშრომლებთ თუ არა გახარიას პარტიასთან?

- კოალიციური მთავრობის შექმნა გარდაუვალია და ამაზე ყველამ უნდა იფიქროს. რაც შეეხება გიორგი გახარიას პარტიას, ჩემი აზრით, მათ დასამტკიცებელი აქვთ, არიან ოპოზიციაში თუ ხელისუფლების მაშველ რგოლს წარმოადგენენ. კითხვები ბევრია - პასუხები კი არა დამაჯერებელი. თუ ისინი გაერკვევიან საკუთარ თავში და ყველა კითხვას გასცემენ პასუხს, ჩვენ მზად ვართ, საქართველოს წინსვლისთვის ვითანამშრომლოთ მათთან... ზოგადად, ჩვენი თანამშრომლობის კარი ღიაა ყველა პროდასავლური პარტიისთვის.

- დაბოლოს, რომელი პრობლემის გადაწყვეტა მიგაჩნიათ თანამედროვე პირობებში ყველაზე საშურად?

- ქვეყანაში გვაქვს ორი პრობლემა - კორუფციის ზრდა და განათლების დონის შემცირება. ვისურვებდი, ისეთივე წარმატებული გავხდეთ, როგორიც ევროპის ქვეყნებია.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 15/02/24, 18 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ანინა დევაძე: ვცდილობ, ყველა წინააღმდეგობას ჩემი განწყობით გავუმკლავდე

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ჟურნალისტი, მხატვარი, ინტერიერისა და ლანდშაფტის დიზაინერი, მენეჯერი, სამი შვილის დედა, საუკეთესო მეუღლე და უბრალოდ, ანინა დევაძე ალბათ, ბევრისთვის ნაცნობია, მაგრამ დღეს, ჩვენი გაზეთით, მას უკეთ გაგაცნობთ. ***ანინა დევაძე*** *თავისი ცხოვრების საინტერესო და მნიშვნელოვან დეტალებზე გვესაუბრება.*

- ქალბატონო ანინა, გაეცანით ჩვენს მკითხველს.

- ანინა დევაძე, სამი შვილის დედა, პროფესიით ჟურნალისტი, თუმცა ხანდახან იმდენ პროფესიას ვითავსებ, მხოლოდ ჟურნალისტიკით ვერ შემოვიფარგლები. დავამთავრე ბათუმის 28-ე საჯარო სკოლა, ვსწავლობდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, შემდეგ იყო მაგისტრატურა ბიზნესადმინისტრირების მიმართულებით, ტურიზმის მენეჯმენტი - საბერძნეთში, ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამით. 2007 წელს, მეორე კურსზე ვიყავი, როცა აჭარის რადიოში დავიწყე მუშაობა. ეს იყო ჩემი პირველი სამსახური და პირველი ნაბიჯები პროფესიაში. ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანის გაცნობის და დამეგობრების საშუალება მომეცა, დღემდე მომყვება რადიოს სიყვარული, ახლაც, როცა ავტომობილს ვმართავ, სულ ჩართული მაქვს. რადიო ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია ჩემთვის. შემდეგ იყო ტელევიზია, გადაცემა „დღის ტალღა“. შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო წლები იქ გავატარე. მიუხედავად იმისა, რომ აღარ ვარ ტელევიზიაში, მაინც ჩემია, მიყვარს იქაურობა. ტელევიზიის პარალელურად, ვმუშაობდი ტურისტულ სააგენტოში, სამშენებლო სექტორში, ბოტანიკურ ბაღში... ბოლოს ისევ კერძო სექტორში გადმოვინაცვლე, საკუთარი მცირე ბიზნესი მაქვს - ვმუშაობ ინტერიერისა და ლანდშაფტის დიზაინზე.

- ბათუმის ბოტანიკურ ბაღში 9 წელი იმუშავეთ. რატომ გადაწყვიტეთ ისევ სამშენებლო სექტორში დაბრუნება?

- ბოტანიკურ ბაღში სრულიად შემთხვევით მოვხვდი. იმ დროს იქ დიდი ცვლილებები მიმდინარეობდა. მაშინ დირექტორი თამაზ დარჩიძე იყო, რომელმაც ძალიან კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი - დაიწყო ახალგაზრდების მაქსიმალურად დაინტერესება და ჩართვა ბაღის განვითარებაში. დღევანდელი გადასახედით შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ერთ-ერთი გარდამტეხი პერიოდი ბაღის ცხოვრებაში. ტურიზმის, მარკეტინგის და ეკოგანათლების განყოფილების უფროსობა შემომთავაზეს, რაც, მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის სფეროში გარკვეული განათლება მქონდა, მაინც ძალიან დიდი გამოწვევა იყო ჩემთვის. ბაღი უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი მთავარი ტურისტული ადგილი რეგიონში. ყველაზე მეტად მიხარია, რომ ეს შევძელით იმ დიდი და არაჩვეულებრივი გუნდის, პროფესიონალების დამსახურებით, რომლებიც წლებია, ბოტანიკურ ბაღში მუშაობენ. ძველი და ახალი თაობების გაერთიანებითა და ძალისხმევით ბაღი, მართლაც, იქცა ბათუმის სავიზიტო ბარათად. არ მინდა ისე გაიგოთ, თითქოს მანამდე იქ არაფერი ხდებოდა, პირიქით, წლების განმავლობაში დაგროვილი უამრავი საინტერესო მასალა, კოლექცია, უბრალოდ, მარკეტინგულად შეიფუთა. დაიწყო გამოფენების „სერიები“, რაც არა მარტო რეგიონის სტუმრებისთვის, თავად ბათუმელებისთვისაც ერთგვარი სიურპრიზი იყო, ასევე, საგანმანათლებლო პროექტები სკოლის მოსწავლეებისთვის, შეიქმნა ახალი ტურისტული სერვისები, ჩავერთეთ საერთაშორისო გამოფენებში. მოკლედ, ჩემი 9-წლიანი მოღვაწეობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ძალიან საინტერესო და გამოწვევებით სავსე იყო. ამოუწურავია ბოტანიკური ბაღის შესაძლებლობები, იქ არის გუნდი, რომელიც ღირსეულად აგრძელებს ბაღის კეთილდღეობაზე ზრუნვას, ჩემთვის კი ახალი ეტაპი დაიწყო ცხოვრებაში - გავხდი მესამე შვილის დედა. ზოგადად, ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში სიახლეები მნიშვნელოვანია, ამიტომ ერთ ადგილზე დიდი ხნით გაჩერება, ცოტა მოსაწყენია. ბაღიდან წამოსვლის კონკრეტული მიზეზი არ მქონია, ჩავთვალე, რომ ცვლილებების დრო დადგა.

- ამ ბოლო დროს მხატვრობამ გაგიტაცათ...

- ხატვით ყოველთვის ვიყავი გატაცებული. ეს არ არის სიახლე ჩემს ცხოვრებაში, პირიქით, როდესაც მომავალი პროფესიის არჩევაზე მიდგა საქმე, სამხატვრო აკადემიასაც განვიხილავდი, თუმცა, ჩვენ ის თაობა ვართ, რომელმაც 90-იანების შავ-ბნელი დღეები გამოიარა, პერიოდი, როცა ხელოვნებისთვის არავის ეცალა, ამიტომ უფრო პრაგმატულად მივუდექი საქმეს. ბავშვობაში ვსწავლობდი ხელოვნების სკოლაში, ვმონაწილეობდი გამოფენებში, მეცხრე კლასში ვიყავი, ზღაპრების წიგნი რომ მოვხატე და პირველი ჰონორარიც ავიღე, მაგრამ... ჩავაბარე ჟურნალისტიკაზე.

- თქვენი ყველაზე საყვარელი ნახატი და რა დროს უთმობთ ერთ ტილოზე მუშაობას?

- ძალიან დიდი ხანი აღარ ვხატავდი. პანდემიის პერიოდი იყო, შვილისთვის საკანცელარიო ნივთებს ვყიდულობდი. დავინახე ტილო და ზეთის საღებავების შეფუთვა. ვიყიდე. მაშინ უკვე მესამე ბავშვიც მყავდა და უძილო ღამეების პერიოდი მედგა. იყო ნოემბერი - „ქაფშიის“ სეზონი. ძალიან მიყვარს ზღვა და, განსაკუთრებით, თოლიების შემოსევის პერიოდი. ამ „დიდი შესვენების“ პერიოდში ზუსტად ეს დავხატე, ამიტომ ეს ნახატი ძალიან მიყვარს, კიდევ, განსაკუთრებულად, ჩემი შვილის - ლაშა გიორგის პორტრეტი, რომლის დახატვას დიდხანს ვერ ვბედავდი. ბამბუკები დავხატე ბოლოს, ისიც ძალიან მიყვარს. რაც შეეხება დროს, ბევრ დროს ვერ ვუთმობ, ძირითადად, ღამის საათებში ვხატავ, როცა ბავშვები იძინებენ.

- ფიქრობთ საკუთარი გამოფენის მოწყობას?

- გამოფენაზე ფიქრი, მგონი, ძალიან ადრეა, თუმცა როდესაც ჩემი ნახატები სოციალურ ქსელში განვათავსე, იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რომ...

- რა ფერებს ირჩევთ, თუ ეს განწყობაზეა დამოკიდებული?

- ფერები განწყობიდან მოდის, რას ვხატავ, ამაზეც ბევრია დამოკიდებული, თუმცა ემოციურად ვცდილობ, ის განწყობა მივიტანო მნახველამდე, რასაც ხატვის პროცესში განვიცდი. ჩემს ცხოვრებაში იყო პერიოდი, როცა სულ ბნელი და სევდიანი ნახატები მქონდა, ახლა ასე არ არის. იმიტომ კი არა, რომ პრობლემები გაქრა, უბრალოდ, არ მინდა, სიბნელის და სევდის ადგილი იყოს ჩემს ცხოვრებაში. ამიტომ ვცდილობ, ყველა წინააღმდეგობას განწყობით გავუმკლავდე, ასეთია ჩემი ნახატებიც, ნათელი და პოზიტიური.

- სამი შვილის დედა როგორ ახერხებთ ამდენი საქმის შეთავსებას?

- ვერ ვიტყვი, რომ მარტივად, მით უმეტეს, არსებულ გარემოში. მიუხედავად მცდელობებისა, მაინც არ გვაძლევს ჩვენი სოციალური პირობები მშვიდად ცხოვრების საშუალებას. არავინ თქვას, რომ არ მოქმედებს გარემო პირობები ჩვენს განწყობაზე. ზოგადად, დროთა განმავლობაში ღირებულებები იცვლება, მით უმეტეს, ჩემს მდგომარეობაში. როცა შშმ შვილი გყავს, სხვაგვარად უყურებ და აფასებ გარემოს. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ შვილის ჯანმრთელობის პრობლემას, ტროტუარებით დაწყებული პანდუსებით დამთავრებული, ყველაფერი პრობლემაა. ეს ძალიან მძიმე საკითხია და ამაზე ალბათ, სხვაგან, სხვა გარემოში ჯობია საუბარი. ასეთ ფონზე მოუარო შვილებს, მისცე კარგი განათლება, უზრუნველყო მათი მოთხოვნილებები, ამავდროულად აკეთო საყვარელი საქმე, იყო პასუხისმგებლიანი მოქალაქე, მეგობარი, შვილი, საკმაოდ რთულია, მაგრამ არა - შეუძლებელი. მეტი პოზიტივი, მეტი სიყვარული, თანაგრძნობა და მეტი განათლება არის აუცილებელი, რომ ცოტათი გავიუმჯობესოთ მდგომარეობა.

- რა არის თქვენთვის ბათუმი?

- ჩემი შვილი მეხუთე თაობაა, რომელიც ბათუმში დაიბადა. 1893 წელს, როდესაც ჩემი ბაბუის ბაბუა მუჰაჯირობიდან დაბრუნდა, ურეხში, ბათუმის შემოგარენში დასახლდა. ამ ქალაქის სუნიც მიყვარს, სანაპიროზე რომ გაისეირნებ და იქვე ყავის სურნელი რომ ტრიალებს, ის მიყვარს. ბათუმი ჩემი სახლია. თუ სადმე ვიცხოვრებდი, დროებით, რა თქმა უნდა, აუცილებლად იქნებოდა ზღვისპირა, თბილი ქალაქი, თუმცა, მაინც ისევ აქ დავსახლდებოდი. მატარებლით რომ ვბრუნდები და ციხისძირიდან გამოჩნდება ქალაქი, გული მიჩქარდება... ბევრ ბათუმელს ექნება ეს შეგრძნება. ქუჩაში რომ გახვალ და ყველგან ნაცნობი გხვდება, ესაა ბათუმი, ძალიან მიყვარს ეს ქალაქი, რომელმაც თავად გამორჩეული სიყვარული იცის, თუმცა, ამ ბოლოს, ბევრი რამ შეიცვალა, სამწუხაროდ.

- დაბოლოს, თქვენი გეგმები...

- რომ გითხრათ, განსაკუთრებულად ვგეგმავ რაიმეს-მეთქი, არა. ზუსტად ვიცი, რომ არსად ვაპირებ საცხოვრებლად წასვლას, მინდა ვიყო ჩემს ქალაქში მშვიდად, აქ გავზარდო შვილები და ვაკეთო ის საქმე, რომელიც მიყვარს. ერთადერთი სურვილი და, ამავდროულად, ამბიცია მაქვს, რომ ვცხოვრობდე ნორმალურ, განვითარებულ, სუფთა ქალაქში, სადაც ადამიანები ერთმანეთს პატივს სცემენ, სინათლეს და ჰაერს არ ართმევენ ბავშვებს, სადაც ნაკლები ბეტონი და მეტი გამწვანებული სივრცე იქნება და ის ურთიერთობები, რომელიც პატარა, კოლორიტულ ქალაქს ახასიათებს.

„ძაღლი“ - სპექტაკლი, რომელიც ჰუმანურობისკენ მოგვიწოდებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სპექტაკლის „ძაღლი“ პრემიერა გაიმართა

ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით რეჟისორმა ელენე მაცხონაშვილმა, რომელიც ამავდროულად ინსცენირების ავტორიცაა და სცენოგრაფიაც ეკუთვნის, საზოგადოება, და განსაკუთრებით მოზარდები, კიდევ ერთხელ დააფიქრა ისეთ ფუნდამენტურ და აქტუალურ თემებზე, როგორიცაა ცხოველების მიმართ დამოკიდებულება, ერთგულება, მზრუნველობა და სიყვარული. რეჟისორის გადაწყვეტილებამ, სპექტაკლში ძაღლი აემეტყველებინა, კიდევ უფრო ცხადი გახადა, თუ რას განიცდიან ჩვენი ოთხფეხა მეგობრები, როგორ სტკივათ, როცა უსამართლოდ ვექცევით და როგორ უხარიათ, როცა უანგარო სიყვარულს ვჩუქნით.

- ძალიან ემოციური სპექტაკლი იყო. კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ ჩვენი ოთხფეხა მეგობრები ყველაზე ერთგულები არიან. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბაბუის დაკრძალვაზე ძაღლი, რომელიც სოფლის ახირების გამო გაუშვეს სახლიდან, უკან დაბრუნდა და გოგონა მარტო არ დატოვა. უნდა გავუფრთხილდეთ ცხოველებს, გარემოს, რომელშიც ვცხოვრობთ, - გვითხრა მაყურებელმა სანდრო ჩხაიძემ.

სპექტაკლში ძაღლის როლი მსახიობმა ვანო მაღლაკელიძემ შეასრულა.

- სცენარის კითხვისას სულ მეტირებოდა, - გვითხრა მან, - ამ სპექტაკლის მთავარი აზრი ისაა, რომ უნდა გავუფრთხილდეთ ცხოველებს, რადგან მათაც სტკივათ, სწყურიათ, შიათ, მათაც ძალიან უყვართ.

ვფიქრობ, რეჟისორმა, რომელთან მუშაობაც დიდი სიამოვნებაა, სწორად და დოზირებულად, განსაკუთრებული სიფრთხილით მიიტანა სათქმელი საზოგადოებამდე.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ თავის ემოციებზე გვესაუბრა რეჟისორი ელენე მაცხონაშვილი. მან მადლობა გადაუხადა თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრს, მსახიობებს, რომლებმაც სპექტაკლზე მუშაობის საკმაოდ მცირე დროში შეძლეს და მინიმალური ხერხებით გადმოსცეს ის ემოციები, რაც ავტორს ნაწარმოებში უდევს.

- ზოგადად, სპექტაკლებში, რომლებსაც ვდგამ, არ მიყვარს განსაკუთრებული ეფექტები. ვთვლი, ყველაზე დიდი მოვლენა, ფოიერვერკი ამ სამყაროში ადამიანია. ამიტომ, ვცდილობ, მსახიობი და მისი შინაგანი სამყარო იყოს მთავარი სანახაობა. სწორედ ამ ხერხით ვიმუშავეთ, მაქსიმალურად შევეცადეთ გვეთქვა ის, რომ ჰუმანური მიდგომა საჭიროა როგორც ადამიანებთან, ისე ცხოველებთან, - აღნიშნა ელენე მაცხონაშვილმა და დასძინა, რომ ის ყოველთვის მზად არის ითანამშრომლოს ბათუმის თეატრთან, რომელთან ურთიერთობასაც მოგზაურობის შემდეგ იმ სახლში დაბრუნებას ადარებს, სადაც სულ კარგი ამბები ხდება.